საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 14 სექტემბერი, 2013 წელი.

№176 (7303)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

პრემიერის ბადრიჯნები!



3

ომს დიპლომატია სჯობს!

4

ბენზინის აგენტი: პატრიოტი თუ მტერი?

5

ბოლოს ეროვნული კატასტროფის პირისპირ

ქვირაქაულს სკითხავი

6-7

სპორტის ახალი უნივერსიტეტი: პრობლემები და პერსპექტივა

10

 რეპლიკა

საბოტაჟი თუ... ხალხის გატყავება?

რწყილს ჩვენს დამშეულ ადამიანებზე მეტი ქონი აქვს

თავის დროზე, როცა ქვეყნის დამაქცევარმა ვანო მერაბიშვილმა ფოსტაც თავის „სამფლობელოს“ დაუქვემდებარა, ბარათის გაგზავნის ღირებულება 2 ლარი და 20 თეთრი გახდა.მანამ ბევრად იაფი იყო, ხოლო იმ დასაქცევი საბჭოთა კავშირის დროს სულაც 4 კაპიკად ციმბირსა და იმის იქითაც გაგზავნიდი წერილს.

ამ თანხით რუსთავიდან თბილისში კი ჩახვალ და ჩამოხვალ, მაგრამ ამ სიცხეში თავზე მეტად ფული გავიმეტე და ამ ორი თვის წინათ გაწკიპინებული კონვერტი და საგულდაგულოდ გადათვლილი ფული სარკმელიდან ფოსტის თანამშრომელ ქალიშვილს გადავაწოდე.

— წერილის გაგზავნა 7 ლარი გახდა, ბიძია.

— რაო?.. — ხომ არ მომესმა-მეთქი, მაგრამ ქალიშვილმა იგივე რომ გამიმეორა, კონვერტი უკან გამოვართვი.

ეს რაღაც 100-გრამიანი კონვერტ-ბარათის გაგზავნის ფასი 7 ლარი რომ გაუხდიათ, მოზრდილი ამანათის გაგზავნა რაც ეღირება, ამას დიდი გაკითხვ-გამოკითხვა არც სჭირდება.

არადა, 125-ლარიანი შემოსავლის მქონე, ბევრიც კი ამის მონატრულიც რომ მივა ფოსტაში, ხომ გადაირევა. არ იტყვის, ახალი ხელისუფლება ასე დიდი ძალისხმევით რომ ავირჩიეთ და ყველაფერს კარგს გვპირდებოდა, ეს რა უბედურებაა?

საბაზრო ეკონომიკისა ბევრი თუ არა, ცოტათი მაინც გაგვეგება რაღაც. მესმის ფასის გაორმაგებაც, მაგრამ ამ დაქცეულ ქვეყანაში გახუთმაგება რა უბედურებაა?!

იქნებ აგვიხსნან, რა ხდება ამ სისტემაში?

და, რაც მთავარია, ვინც ჯერ არს, იქნებ იმათაც დაინტერესდეს, რა არის ეს — შეგნებული საბოტაჟი ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის ასამხედრებლად თუ, უბრალოდ, ამავე ხალხის გატყავების მცდელობა?

თუ ეს უკანასკნელია, მაშინ იქნებ რწყილის გატყავება სცადონ? მერწმუნეთ, რწყილს გაძვალტყავებულ ადამიანებზე უფრო მეტი ქონი აქვს!

გივი ჯახუა

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ სიცრუის ორომტრიალი

სააკაშვილზე ევრაზიულმა სიომ ცუდად იმოქმედა

საძართველოს ფინანსთა სამინისტრო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართავს, საკუთარ განცხადებებს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს.

ფინანსთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

— საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიმართავს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს — როგორც ჯერ კიდევ ქვეყნის პირველი პირი, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს საკუთარ განცხადებებს და მაშინ, როდესაც რამდენიმე დღის წინ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მოუწოდა ჩვენს თანამოქალაქეებს საბაჟო სფეროში ნებისმიერი კანონდარღვევის შემთხვევაში, ინფორმაცია დროულად მიეწოდებინათ ფინანსთა სამინისტროსთვის, გამოიჩინოს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ჩვენს უწყებას მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტული კანონდარღვევის ან სამოხელეო გადაცდომის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი განცხადება „საბაჟოებზე არსებული ვითარების შესახებ“ ჩაითვლება შეგნებულ პროვოკაციად, საბაჟოზე მომუშავე თითოეული საჯარო მოხელის და ზოგადად, სახელმწიფოს იმიჯის შელახვის მორიგ მცდელობად“ — აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სტუდენტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ევრაზიული საზოგადოებაა ის, რომ ახლა უკვე საქართველოში მართვის მოწმობის „გაკეთება„ 500 ლარად შეიძლება.

— გორში, ქუთაისში გაიკითხეთ. ჩემს დროს რამდენს მეხვეწებოდნენ, ვეუბნებოდი, გიჟები ხომ არ ხართ, შანსი არაა, ევრავის გავუკეთებთო. 500 ლარი ღირს ახლა. ევრაზიაა ის, რაც ხდება საბაჟოებში. ევრაზიაში მძვინვარებს კრიმინალი. ევრაზიაა ის, რომ მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, საბურთალოზე, დედაჩემის ბინის აივნიდან მქონდა პატივი, მომესმინა ქუჩის გარჩევებისთვის, რომელიც სულ უფრო ხმამაღლა ისმის. ჩაცუცქული ხალხი — ეს არის ევრაზია. ოლიგარქიული ეკონომიკა არის ევრაზია. ევრაზიაა ნეპოტიზმი, როდესაც თანამდებობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ნათესაობით თუ პატრონი გყავს. თამაზაშვილები რომ მართავენ კახეთს-არის ევრაზია, ზვიადაურები რომ მართავენ ახმეტას, არის ევრაზია, — განაცხადა სააკაშვილმა.

ასჯერ გაზომილს ერთხელ ნანახი სჯობს, ქალბატონო მანანა!

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია მესტიის საბაგიროსთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებას სიცრუეს უწოდებს, რომელსაც მისი თქმით, რეალობასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

— რამდენიმე ათეული კონტეინერი საბაგიროს მოწყობილობები უკვე ჩამოვიდა და დასაწყობებულია მესტიაში, სპეციალურად ამისათვის აშენებულ ადგილზე, რომელიც ჩვენ ამ ზაფხულის განმავლობაში ავაშენეთ. მომდევნო კვირას დამატებით კონტეინერებს ველოდები და მე თვითონ მომავალ კვირას ვიქნები ადგილზე, რომ დავათვალიერო სამუშაოები მესტიის საბაგიროს პროექტი ჩვეული რეჟიმით ხორციელდება, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მინისტრის განცხადებით, წელს, წლის ბოლომდე ყველა ანუ 160 კონტეინერი ჩამოვა, დასაწყობდება და მომდევნო წლიდან დაიწყება მონტაჟი. ნარმანიას ინფორმაციით, ამას განახორციელებს ქართული მხარე, როგორც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

— პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაცია არის სრული სიცრუე, რომელსაც რეალობასთან არავითარი კავშირი არ აქვს, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

— მთავრობა ამ საბაგიროს გაყიდვასაც ცდილობს და ყველაფერს აკეთებს, რომ გაიზიაროს იგივე ბედი, რაც გააკეთეს ლაზიკის პროექტთან, სარკინიგზო მაგისტრალთან და სხვა პროექტებთან დაკავშირებით, რომელსაც მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა მოეტანა, — თქვა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.

მანვე აღნიშნა, რომ მესტიაში საბაგირო გზის პროექტს შედეგად მოჰყვებოდა რამდენიმე ათეული ადამიანის დასაქმება, ტურიზმის განვითრება და სხვა სასიკეთო შედეგები ქვეყნისთვის.

◎ ტაციაობა

აფხაზეთში ქართველთა უძრავ ქონებას რუსეთისა და სირიის მოქალაქეებზე გაყიდიან

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის თქმით, აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართების შეძენა აქამდე ყველა ქვეყნის მოქალაქისთვის შეზღუდული იყო, გარდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისა. ამ შეზღუდვების მიუხედავად, აფხაზეთის მთავრობის ზურგსუკან მაინც ხდებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ბინებისა და საცხოვრებელი კერძო სახლების მიყიდვა, რამაც აფხაზეთში კორუფცია გააღრმავა.

თუმცა, ანქვაბი აცხადებს, რომ ამიერიდან ეს შეზღუდვები აუცილებლად მოიხსნება. ამისთვის დე ფაქტო პარლამენტი კანონმდებლობის შეცვლას აპირებს.

ცნობილია, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დე ფაქტო პარლამენტმა 2010 წელს მიიღო კანონი იმ პირების შესახებ, რომელთაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ექვსი წლის განმავლობაში არ უცხოვრიათ. მათ ავტომატურად ჩამოერთვათ აფხაზეთის მოქალაქეობის სტატუსი და დღემდე უცხო ქვეყნის მოქალაქეებად ითვლებიან. ამიტომ უახლოეს ხანში ამ პირებს მათ სახელზე გასულ წლებში გაფორმებულ ქონებას ოფიციალურად ჩამოართმევენ და ქონებას აუქციონის წესით გაყიდიან.

მართალია, ჯერჯერობით აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტს ეს კანონპროექტი არ დაუმტკიცებია, თუმცა ქართველთა უძრავი ქონების მყიდველთა რიგები უკვე დადგა. მყიდველთა შორის რუსეთის ფედერაციისა და სირიის მოქალაქეები სჭარბობენ.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება განსაკუთრებით სირიელ ლტოლვილებს სწყალობს. უკვე ღიად საუბრობენ, რომ აფხაზეთში სწორედ მათი ჩასახლება იგეგმება. ამისთვის აფხაზებმა შესაბამისი ნაბიჯებიც გადადგეს. სირიელი ლტოლვილების დასახმარებილად აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ გარკვეული თანხა პენსიონერებსა და კერძო პირებს ჩამოაჭრა. კერძოდ, პენსიონერებს 100-100 რუსული რუბლი ჩამოაჭრეს, მძღოლებს კი - 500-500 რუბლი.

აფხაზეთში სირიელი ლტოლვილების ჩასახლების კონტექსტში საუბრისას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი აცხადებს, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში განხორციელებული ნებისმიერი გარიგება უკანონოა და მას იურიდიული ძალა არ ექნება.

აფხაზეთის უშიშროების ექსმინისტრი გენერალი ლევან კიკნაძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ დიდი ხანია, აფხაზებმა ქართველებისგან მიტოვებული სახლების გაყიდვა დაიწყეს და აფხაზეთში არ დარჩა ქართველის სახლი, რომელიც დამწვარი არ იყოს და, ამავდროულად, რომელიმე აფხაზის საკუთრებაში არ იყოს გადაცემული. რამდენად არის ეს ბინები საცხოვრებლად ვარგისი, ლევან კიკნაძის აზრით, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ერთია ბინის გარემონტება და მეორეა, სრულიად ახალი სახლის აშენება.

„ასეთი კარებმოხსნილი თუ ფანჯრებმოგლეჯილი ბინები უამრავია, განსაკუთრებით, სოხუმში და მის ახალ რაიონში, რომელშიც დიდი დასახლებაა. იქ ცხრასართულიან კორპუსებში შეიძლება მხოლოდ 20-30 % იყოს დასახლებული, დანარჩენი- ცარიელი ან გაძარცულია. სწორედ ამ ბინებზეა საუბარი, რომლებიც დიდი ხანია, გადაცემული აქვს საექსპლუატაციო ფონდს. სავარაუდოდ, ამ ბინებს მისცემენ სირიელებს“, — აცხადებს ლევან კიკნაძე.

ამასთან, ეჭვობს, რომ, სირიელი ლტოლვილები, რომლებსაც საცხოვრებელი არსად აქვთ, აფხაზეთში ჩავლენ; განსაკუთრებით ისინი, რომლებიც თურქეთის საზღვარზე სახელდახელო კარვებში არიან განთავსებულნი.

თუმცა, თუ მათ სირიაში დაბრუნების შესაძლებლობა ისევ მიეცემათ, აუცილებლად დაბრუნდებიან. უფრო მეტიც — ლევან კიკნაძე უამრავ ფაქტს იხსენებს, როდესაც აფხაზების დასახმარებლად საომრად ჩასული თურქი ბოევიკები, ერთი პერიოდი, აფხაზეთში საცხოვრებლად დარჩნენ, მაგრამ მოგვიანებით პრაქტიკულად ყველამ დატოვა აფხაზეთი.

ამდენად, ლევან კიკნაძის თქმით, კრიმინოგენური სიტუაციის გამო აფხაზეთში სამუდამოდ საცხოვრებლად არ რჩებიან. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ არც სირიელი ლტოლვილები დარჩებიან დიდხანს აფაზეთში.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ აფხაზეთში მთლიანობაში 7302 რეპატრიანტია დაბრუნებული. მათგან 4 ათასზე მეტი ადამიანი თურქეთიდანაა, 500 — სირიიდან და 2500-ზე მეტი-რუსეთიდან. ასე რომ, უფრო დიდი რაოდენობა არის თურქეთიდან, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდან.

გია გვაზავას თქმით, მართლაც დიდი პრობლემაა, რომ ეს ადამიანები ქართველების მიერ იძულებით დატოვებულ ბინებში დასახლდებიან, რადგან აფხაზეთში ბევრ ადამიანს, წესით თუ უწესოდ, საკუთარ თავზე აქვს მიწერილი ეს სახლები. ზოგიერთ მათგანს ხუთი-ათი სახლიც აქვს. განსაკუთრებით, წინა წლებში უფრო აქტიურად მიმდინარეობდა ქართველთა საცხოვრისში შევარდნის ფაქტები, რადგან მეომრებს მიაჩნდათ, რომ ისინი იმსახურებდნენ ყველაზე საუკეთესო რამდენიმე სახლს.

„რესტიტუციის კანონი (რაც ქონების ანაზღაურების კანონს ეფუძნება) ითვალისწინებს, რომ ადამიანებს, რომლებმაც ომის ან სხვა უბედურების გამო დაკარგეს საკუთარი საცხოვრებელი, ან იძულებულნი გახდნენ, სახლები მიეტოვებინათ, მუდმივად გააჩნიათ უძრავ ქონებაზე თავიანთი უფლება. თუმცა საინტერესოა, რომ აფხაზები ჩვენს დევნილებს არ აბრუნებენ საკუთარ სახლებში და ამ დროს სპეციალურად მოჰყავთ უცხოელები თურქეთიდან, სირიიდან, რუსეთიდან... ამით ეთნოწმენდა კვლავაც გრძელდება. რატომღაც საერთაშორისო დამკვირვებლები ამაზე ყურადღებას არ ამახვილებენ. არადა, სეპარატისტული მთავრობის მხრიდან ეს გეგმაზომიერი ჩასახლებებია“, — აცხადებს გია გვაზავა.

მისივე თქმით, სირიელ დევნილებზე აქცენტი იმიტომ კეთდება, რომ აფხაზები ამით თავს იმართლებენ, თითქოს სირიაში მცხოვრებ მოჰაჯირთა შთამომავლებს იბრუნებენ. სინამდვილეში, ისინი მალავენ იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში განურჩევლად ყველა სირიელს ეპატიჟებიან. არც იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ მოჰაჯირობის ორი ტალღის შედეგად 72 ათასი კაცი გადაასახლეს აფხაზეთიდან და იქიდან ძალიან ბევრი, თითქმის 40% აფხაზეთში მცხოვრები ლაზი იყო. ამიტომ გია გვაზავასთვის გაუგებარია, აფხაზები რა კრიტერიუმით არჩევენ ამ ადამიანებს.

ამასთან, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ფიქრობს, რომ აფხაზეთში ქართველების დაბრუნების შემთხვევაში, შეესაძლოა, ქართველები და იქ მცხოვრები აფხაზები, სირიელები თუ თურქები მორიგდნენ და, უკიდურეს შემთხვევაში, ქართველებმა საკუთარი სახლი დათმონ, თუკი ისინი ახალ საცხოვრისს აუშენებენ.

მანანა ნოზაძე

◎ ინფორმაცია

არჩევნებმა მშვიდობიან ვითარებაში, ზეწოლის გარეშე რომ ჩაიაროს...

საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრმა „არჩევნების პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა, რომელიც ძალაში ხელმოწერისთანავე შევიდა.

შსს-ს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტრო პატივს სცემს თითოეული ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას, განახორციელოს თავისუფალი არჩევანი. ძალზე მნიშვნელოვანია, საქართველოს მოქალაქეებმა თავიანთი საარჩევნო უფლება გამოიყენონ უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოში, სადაც არ იქნება არავის, მით უმეტეს, შსს-ს მოსამსახურეების მხრიდან ზეწოლა და ძალადობა.

მათივე ინფორმაციით, სამინისტროს მიერ შემუშავებული ინსტრუქცია შექმნილია NDI-სა და „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის“ რეკომენდაციების საფუძველზე.

დოკუმენტი განსაზღვრავს წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებს, სამინისტროს მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე, მათთვის კანონით დადგენილ აკრძალვებსა და შეზღუდვებს. გარდა ამისა, ინსტრუქცია ითვალისწინებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევ პირთა მიმართ მოთხოვნილი და გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები იყოს სამართალდარღვევის პროპორციული, რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნას მსგავსი დარღვევების პრევენცია. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელებს დაევალათ, უზრუნველყონ ადმინისტრაციულ შენობებში ინსტრუქციის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება და პირადი შემადგენლობისათვის გაცნობა.

ინტერპრესი

◎ წინ – არჩევნებია

პრემიერის ბადრიჯნები!



ბატონი ბიძინა ივანიშვილის ბოლო პრესკონფერენცია, მოკლედ რომ შევაფასოთ, სრული გაუგებრობა იყო! თუმცა, ერთი რამ მაინც გავიგეთ – პრემიერის პოლიტიკიდან წასვლა-არწასვლის ალბათობა, რაც ბოლო დროს გვირილას ფურცლებზე მკითხაობას დაემსგავსა, როგორც ჩანს, გაირკვა – პრემიერ-მინისტრი ახალ წლამდე უეჭველად დატოვებს თანამდებობას და მისივე განმარტებით უფრო საჭირო, არასამთავრობო სექტორში გადავა და ალბათ იქიდან იზრუნებს დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონე ქართველი საზოგადოების აღზრდაზე.

ჰოდა, ბიძინა კი მიდის, მაგრამ ქვეყანას ვის ხელში ტოვებს? რატომ ავიწყდება პრემიერს, რომ ქართველ ხალხს იმათთვის არ მიუცია ხმა, ვინც ბატონმა ბიძინამ ქეჩოთი შეათრია პარლამენტსა თუ მინისტრთა კაბინეტში და თუკი ქართველი საზოგადოება დღემდე ითმენს ამ ხალხის ხელისუფლებაში ბოგინს, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის შეუვალი ავტორიტეტის გამო! თუმცა 1 ოქტომბრის შემდეგ, სწორედ ამ ხალხის, რბილად რომ ვთქვათ, არაპროფესიონალიზმის და უფრო ხშირად, ქართველი ხალხის მისწრაფებებთან იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო, ბატონი ბიძინას შეუვალ ავტორიტეტსაც სერიოზულად, როგორც იტყვიან, „წყალი შეუდგა“!..

უფრო მეტიც, ამ ბოგინ-ბოგინში ნელ-ნელა აითვისეს ქართველი ხალხის საძულველი ნაცების ტერმინოლოგია, მმართველობის სტილი და მეთოდები. ახალმა ხელისუფლებამაც საიმდროოდ შემოიღობა საკუთარი კეთილდღეობის საზღვრები, მათაც გამორთეს ან შეიცვალეს პირადი ტელეფონები, ისინიც დაცვის თანხლებით დაგრიალებენ შავი ჯიპებით და, რაც ყველაზე მეტად შეურაცხმყოფელი მგონია, ეს მოხელენი, რომლებსაც, ბიძინა ივანიშვილი რომ არა, მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრები თუ მისცემდნენ ხმას და ახლა, დიდაქტიკური, აშკარად სარკის წინ „დაყენებული“ სიფათებით მოძღვრავენ „პოლიტიკურად უმწიფარ“ ქართველ საზოგადოებას და ამიტომაც ვუწოდებ მათ პიტალო ბადრიჯნებს!

თანაც რამდენნი არიან, კაცოო, რომ ჩაშუშ-ჩააჯაფსანდალო, ვინძლო შიმშილის პრობლემა მოგვარდეს საქართველოში!

მთავარი ფილოსოფოსი პრეზიდენტობის კანდიდატით დავიწყოთ – კაცი იმას რომ იტყვის, პლასტელინი ვარო, თანაც ქსოვა მიტაცებსო, რაზეა საუბარი? შე კაცო, თუ პლასტელინი ხარ (ადრე ვაზელინი უფრო იყო „ხოდში“), ანუ, ყველა ნაპრალის ამოვსებას აპირებ და თანაც „დიაცსა ქსლისა მბეჭველსა“ პროფესიისკენ გაგირბის თვალი, რა გინდა, რას გვემართლები, პლასტელინი და „ტკაჩი“ პრეზიდენტი (მთავარსარდალი) უნდა ტერიტორიებდაკარგულ საქართველოს?

მაგრამ, რას იზამ? ასეთია ნება „უზენაესისა“... ბიძინამ, გიორგი მარგველაშვილს თუ არ აირჩევთ, ხომ მაინც მივდივარ და მივდივარ, გაგებუტებით და ისე წავალო!

ზაქარია ქუცნაშვილი? ამას წინათ, ფეისბუკში ვიღაცამ ენამოსწრებულად იანგლა – მაგისი პარიკმახერი სამსახურებრივი უფლებების ბოროტად გამოყენებისთვის დასაჭერიაო! თუმცა ეგ იქით იყოს, ასემც უქნია „ნანეტი“ გაუკეთებია, მაგრამ ეს „ბადრიჯანი“ ორ-ორი ჯიპით რომ დაქრის აღმა-დაღმა, არც ეგ იცის ბიძინა ივანიშვილმა? ეეე, ზაქროოო, ვინა ხარ ამისთანა, რომ დაცვის ესკორტი დაგყვება?

ვინა ხარ კი არა, უფრო სწორად, გადეპუტატების შემდეგ ვინ ჰგონია თავი და არა მარტო ზაქროს, საერთოდ ბადრიჯანის პლანტაციად ქცეულ პარლამენტში, დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობა დაბურულმინებიანი ჯიპებიდან რომ ვერაფერს ამჩნევთ, ნაცებივით პრემიებს აღარ ვიღებთო და ხელფასები კი გაიორმაგეთ, რაა, როგორც იტყვიან, ბნელა მთვარიან ღამეში? ტელეფონს მაინც უპასუხეთ, თქვე პიტალო ბადრიჯნებო, თქვენა! აფსუს, რა კარგი ბიჭი იყავი, ზაქროო! აი, მაშინ, გია მაისაშვილის პარტიაში რომ იყავი, იმ გიასი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მრავალ სხვა პროფესიონალთან ერთად „ზა ბარტომ“ რომ დატოვეთ და ეკონომიკას კი მისტირით – ბევრი გყავთ მაისაშვილის დონის ეკონომისტები?..

დავით საგანელიძე – ბოროტი ენები ამბობენ, უმრავლესობის ლიდერი ირაკლი მელაშვილის და მალხაზ მჭედლიშვილის ხელებით უხეშად ერევა ადგილობრივ თვითმმართველობებში, ნაცების, დიახ, არ შემშლია, ნაცების სასარგებლოდო!

სადღაც ამოვიკითხე საგანელიძის ჩივილი – ჩემი დისკრედიტაცია მარგველაშვილის დისკრედიტაციაა და ამიტომაც მებრძვიანო! – პლასტელინს რაღა დისკრედიტაცია უნდა და მით უმეტეს საგანელიძეს, რომელმაც ეტყობა, კარგად იცის ლეგენდარული ყოზეფ ფუშეს შეგონება – „შესაფერის დროს ღალატი, მომავლის განჭვრეტაა და არა ღალატი“. ჰოდა, მანაც დროზე განჭვრიტა მომავალი და „ახლებიდან“ ბიძინას ნავში ცვითა თავი! მაგრამ, ძველ სამეგობროს უღალატა როო?

ახლა რომ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ისვრიან საკუთარ „უმწიკვლო“ წარსულზე, საგანელიძე და „ახლები“ არ იყვნენ, რომ ჯერ შევარდნაძეს ეკურკურებოდნენ და შემდეგ ნაცებში იყვნენ შეყუჟულები? ვინ, თუ არა „ახლებმა“ გაუპრავეს მიშას აგვისტოს ომი იდიოტური მორატორიუმით?

ახლა კი პირადად საგანელიძემ გააიმპიჩმენტებინა ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარე მალხაზ ერაძე, რომლის „დანაშაული“ მხოლოდ ის იყო, რომ თავის მხრივ ბოლნისის ოდიოზი გამგებელი ფალავანდიშვილი გაანთავისუფლა თანამდებობიდან და როგორ თუ პარტიას არ მკითხეთო, პოლიტსაბჭოზე ტყავი გააძრეს მალხაზ ერაძეს – თვითმმართველობა მომინდომეთ ახლა, როცა მინდა მაშინ დაგიშლი უმრავლესობასო და აკი დაუშალა კიდეც და ახალმა ნაცუმრავლესობამ თავისი ჭკუით (რადგან საქმე სასამართლოშია) გააიმპიჩმენტა მოსახლეობის მხარდაჭერით ცნობილი მალხაზ ერაძე – სხვათა შორის ბოლნისის საკრებულოს უპარტიო მაჟორიტარი დეპუტატი, რომელმაც 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებზე მარტომ, მოსახლეობის მასობრივი მხარდაჭერით დაამარცხა ნაცების კანდიდატი ნაცებისავე ზეობის ჟამს!

ბოლნისის საქმით ე.წ. უწყებათაშორისი კომისია და არასამთავრობოები დაინტერესდნენ და იქნებ ბოლნისში მაინც ეჭამა პური სამართალს? მაგრამ, არა, კომისიაც ჩავიდა 12 სექტემბერს თეა წულუკიანის მეთაურობით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იუსტიციის მინისტრი კოჰაბიტაციის პროპაგანდისთვის ყოფილა ჩასული – მალხაზ ერაძის უკანონო იმპიჩმენტის სტატუს კვო „გააპრავა“ და ამით აღშფოთებულ მოსახლეობასთან, რომელიც დილიდან ელოდა მინისტრის ჩასვლას, საჯაროდ შეხვედრაზე უარი თქვა. ხოლო აღელვებული ხალხის დამშვიდება, მათთან გულმართალი საუბარი საკრებულოს სააქტო დარბაზში, ისევ „სპა“-მ, პოლიტიკური პარტიის, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა სოსო მანჯავიძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა იკისრეს!

ზურაბ აბაშიძემ ხომ საერთოდ... იმ კომენტარით , რაც მან კოტე კუბლაშვილის გადადგომის მოთხოვნით გამართული აქციის შესახებ გააკეთა, თავად ჩაიყენა თავი პიტალო ბადრიჯნების რიგში:

– ფაქტები მოგვაწოდეთ, თორემ მხოლოდ ემოციებით კუბლაშვილის იმპიჩმენტს ვერ დავიწყებთო!

შე კაცო, დიღომში, პოლიციის სამმართველოსთან ცხვირი რომ დინგს დაუმსგავსეს, ეს ფაქტი თუ არ ყოფნის, ის მაინც გაიხსენოს, რომ იმ პარლამენტმა, რომელშიც თავად ზის ინახად, 300 პოლიტპატიმარი და პოლიტდევნილი აღიარა და ვინ არის ამ უკანონო განაჩენების მამა-მთავარი, თუ არა კუბლაშვილი? ან, კუბლაშვილის სასამართლომ არ დაიჭირა საქართველოს 300 ათასზე მეტი მოქალაქე, რაც იმპიჩმენტის კი არა, პუტინი მიშას რომ ემუქრებოდა, კუბლაშვილის „იმითი“ ჩამოსაკიდებლადაც კმარა! მაგრამ, რას იზამ, ეტყობა პოტომაკის ნაპირებზე მაგრად არიან დადაღულები და ამერიკული ნალებით დაჭედილები...

ამავე პარტიის, თავისუფალი დემოკრატების კიდევ ერთმა ბადრიჯანმა, გია ცაგარეიშვილმა, „ნეტარხსენებული“ მაია ნადირაძე გამახსენა – „ახლა ჩვენა ვართ ხელისუფლებაში და რასაც და როგორც გვინდა იმას ვიზამთო“ რომ ამბობდა და ცაგარეიშვილმაც – „არავითარი ვადამდელი არჩევნები არ იქნება და დროა, ამ რეალობას ქართველი ხალხი შეეგუოსო“, სულში ჩაგვაფურთხა.

როგორც ქიზიყში იტყვიან – „რახან შენ იტყვი, შენი ყველაყისამ“...

დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, პაატა ზაქარეიშვილი, სოზარ სუბარი, ზვიად ძიძიგური, ძმები ბერძენიშვილები და რა ვიცი კიდევ, პიტალო ბადრიჯნების სახელი ლეგიონია!

ჰოდა, ამ ლეგიონის ამარა უნდა დაგვტოვოს ბიძინა ივანიშვილმა?

და ეს მიუხედავად იმისა, რომ გვჯერა საპრეზიდენტო კანდიდატის დაპირებისა, რომ არჩევნების შემდეგ კოჰაბიტაცია ნაცებთან ნამდვილად დამთავრდება!

დიახ, გვჯერა, მაგრამ, როგორც „პოლიტიკურად გაუნათლებელ ბოგანო“ ხალხს, ჩვენებურად გვჯერა...

კოჰაბიტაცია არაპოლიტიკური კონტექსტით, ნაჩხუბარი ცოლ-ქმრის მშვიდობიან თანაცხოვრებას ნიშნავს. ჰოდა, ნაცები და ქოცები იდეოლოგიურად ხომ ერთნი არიან, ჰოდა, არჩევნების შემდეგ დამთავრდება ეს გაუგებრობა (გასაყოფი რა აქვთ? იდეოლოგიურად, თორემ გასაყოფ-გასანაწილებელი მთელი ქვეყანა აქვთ..) და კოჰაბიტაცია დასრულდება გრანდიოზული ერთსქესიანი ქორწინებით და, რა თქმა უნდა, ქორწილით, სადაც ხელის მომკიდეები რიჩარდ ნორლანდი და ანდრეს ფორ რასმუსენი იქნებიან.

დათო მხეიძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **სააკაშვილი: თანამდებობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ პატრონით ეს არის ევრაზია.**

მე: შენი ყველაყისამ, ვერა ქობალიამ ხო მგზნებარე პოლიტიკური ბრძოლით, განათლებითა და გამოცდილებით მოიპოვა მინისტრის პორტფელი.

● **შესაბამისი ანაზღაურების ფასად დავრეკავ 112–ში.**

პარლამენტი – 500

კანცელარია – 400

ტელევიზია – 300

სამინისტროები – 200

ჰავლაბრის რეზიდენცია – უფასო.

გათვალისწინებულია ფასდაკლებები და პრიზები.

● **ისეთ ხელისუფლებას რა ვუთხარი, ერთი წლის მერე რეიტინგს ასე რომ დაიგდებს და ხალხს ახალ არჩევნებზე აფიქრებინებს ისევ!**

● **მერაბიშვილს დაუჩივლია, ქალებს არ უშვებენ ჩემთანოოო... ჯერ წიგნებიოო, მერე ტელევიზორიოოო, ახლა ქალებიოოო... ალბათ ცოტა ხანში ჯაკუზსა და იახტასაც მოითხოვს და ეს ჩვენი გულჩვილი პროკურატურა იფიქრებს, ვიდრე ამდენი მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ, უმჯობესია გავუშვათო.**

● **ეხლა ვკითხულობდი საგანელიძის ინტერვიუს და ამ ფრაზამ შოკში ჩამაგდო: საგანელიძე: „რომ არა ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ, სააკაშვილი ნახევარ საქართველოს ცხენში ჩაალპობდა. ასე რომ, ტყულად ნუ გვამადლიან, ხმა თქვენ მოგეცითო“.**

მაინტერესებს თვითონ საგანელიძე რომელ ნახევარში იქნებოდა?

● **ეს ადამიანი მართლაც სერიოზულად არის შეურაცხადი. აღარ შეიძლება ამის საზოგადოებასთან ურთიერთობა. რეებს ბოდიალობდა ამ ბავშვებთან, დაშმორებული ევრაზიაოოო, თამაზაშვილები მართავენ კახეთსოოო... მდაა.**

● **ნუ გეშინიათ, ჩინური ბომბებია მაგნები.**

● **საარსებო მინიმუმი რომ არ შეესაბამება რეალობას, ეს ყველასთვის ნათელია, მაგრამ აქ, ალბათ, მოსაგვარებელია ერთი პრობლემა. სამომხმარებლო კალათის ღირებულების დადგენა ხდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მიერ მიწოდებულ მასალებზე. ეს ბიურო კი ასრულებდა უშუალოდ პრეზიდენტის და მაშინდელი მმართველი გუნდის დაკვეთებს. თავიდანაა გასაანგარიშებელი სამომხმარებლო კალათის შემადგენელი ყველა ძირითადი პროდუქტის მოხმარების ნორმები და მათი რეალური ფასები. დიდი ეჭვი მაქვს, რომ, ცალკეულ პროდუქტებზე თუ პირველადი მოხმარების საშუალებებზე ნორმები ხელოვნურად არის დაწეული და შესაბამისად მათი საბაზრო ფასებიც დაწეულია და არ შეესაბამება რეალურს. ალბათ ახალი ხელისუფლება ამას საფუძვლიანად შეისწავლის, თორემ 150 ლარი ნამდვილად სრული აბსურდია.**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

საფრთხე ბოლომდე არ მოხსნილა

„დაუნდობელი დიქტატორი, ჯალათი, საკუთარი ხალხის გამანადგურებელი, მსოფლიო მშვიდობის საფრთხის შემქმნელი“, — ასეთი იყო აშშ-ის პრეზიდენტის, სახელმწიფო და თავდაცვის მდივნების განცხადებები, რომელთაც მკაცრი გადაწყვეტილებები უნდა მოჰყოლოდა - სირიაზე ოთხთვიანი საჰაერო იერიშის მიტანა, სამხედრო და სტრატეგიული ობიექტების განადგურება, ქიმიური ქარხნის დაბომბვა და ამ აქტით პრეზიდენტ ასადის დასჯა. სირიაზე თავდასხმა მაგალითი უნდა გამხდარიყო მსოფლიოს სხვა დიქტატორებისთვის, რათა მათ არასდროს გაეხედათ ქიმიური იარაღისკენ.

„ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით სირიის პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარებისთვის. ჩვენთვის მთავარი იყო და არის ქიმიური იარაღის აკრძალვა, სირიის ხელისუფლების მიერ ქიმიური იარაღის გადაცემა საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებისთვის. ჩვენ მივესალმებით რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივას სირიის ქიმიური იარაღის განადგურების თაობაზე. მე და პრეზიდენტ პუტინს ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი გვქონდა სანკტ-პეტერბურგის სამიტზე“.

ამ ორ განცხადებას შორის ორი კვირაა, დაძაბული, ნერვიული, ლანძღვა-გინების ორი კვირა, ხმელთაშუა ზღვაში მცურავი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანით, რუსეთის შავი ზღვის სამხედრო გემების ხმელთაშუა ზღვაში შესვლით, მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების ანტისაომარი გამოსვლებით, დემონსტრაციებით — ობამას პორტრეტებზე ჰიტლერის ულვაშების მიხატვით, ცხარე დებატებით ამერიკა-ევროპის პოლიტიკოსებს შორის, ისრაელის მოსახლეობის გრძელი რიგებით — აირწინაღების შესაძენად, სირიის ისედაც დამფრთხალი მოსახლეობის მეზობელ სახელმწიფოებში გადასვლით, ირანის ხელისუფლების გამაფრთხილებელი განცხადებით, რომ მეგობარ სირიას გვერდში ამოუდგება და იერიში მიიტანა აშშ-ის სამხედრო გემებსა და ახლო აღმოსავლეთში განლაგებულ სამხედრო ბაზებზე, აშშ-ს ადმინისტრაციის მაღალი წარმომადგენლების მიერ უცხო ქვეყნების პოლიტიკოსებთან საუბრებით — მათი გადაბირების მიზნით, აშშ-ის სენატსა და კონგრესზე ზეწოლით და ა.შ.

პირველ განცხადებას მხარს უჭერდნენ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კემერონი, საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდი, თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი, კანადის პრემიერ-მინისტრი ჰარპერი, სხვები — თუმცა არც ისეთი რაოდენობა, თეთრ სახლს რომ გაახარებდა.

აშშ-ის ადმინისტრაციის მილიტარისტულ განწყობას ცივი წყალი გადაასხა ბრიტანეთის პარლამენტის გადაწყვეტილებამ — ბრიტანეთი არც ერთ შემთხვევაში სირიის ომში მონაწილეობას არ მიიღებს. ბრიტანეთის პარლამენტმა ხელ-ფეხი შეუკრა საკუთარ პრემიერ-მინისტრ კემერონსა და მთავრობას, რომლებიც იძულებული შეიქნენ დამორჩილებოდნენ მას.

ბრიტანეთის პარლამენტის გადაწყვეტილებამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო მშვიდობის საქმეში. მან დააფიქრა მორჩილი ევროპა და ყოყმანისგან - პაციფიზმისკენ გადახარა. ერთმანეთის მიყოლებით გერმანიამ, სხვა ქვეყნებმა, ევროკავშირმა, ნატომ კატეგორიულად განაცხადეს, რომ სირიის საკითხი გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა გადაჭრას და არა აშშ-ის დაბომბვამ.

სირიის თემა, როგორც დამატებითი საკითხი, განიხილა „დიდი ოცეულის“ სანკტ-პეტერბურგის სამიტმა. საბედნიეროდ სამიტი იმ დროს გაიმართა, როდესაც დაძაბულობის კულმინაციამ უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია. სამიტის თავმჯდომარე პუტინმა, თანმიმდევრული რიტორიკით, ხან შემრიგებლური, ხან მუქარაშერეული ტონით ახსნა - რა შეიძლება მოჰყოლოდა ომს, ომს, რომელშიც, სირიის დახმარების თვალსაზრისით, რუსეთი მიიღებდა მონაწილეობას. სამიტის მონაწილეებმა მხარი სამშვიდობო პოლიტიკას დაუჭირეს, გარდა ზოგიერთისა — საფრანგეთი, კანადა, თურქეთი, საუდის არაბეთი...

სამიტის მონაწილეთა ნეგატიურმა განწყობამ უდავოდ იმოქმედა აშშ-ის პრეზიდენტზე, თუმცა მისი რიტორიკა ისევ აგრესიული რჩებოდა. სამშობლოში დაბრუნებულმა პრეზიდენტმა, მოიკითხა აშშ-ის სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ამბავი, გაეცნო სენატორთა და კონგრესმენთა განწყობას, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს და დაინახა, რომ ამერიკელთა 67%-ზე მეტი მხარს არ უჭერდა მის გადაწყვეტილებას. რაც შეეხება კონგრესს - უდიდესი უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ომის დაწყების, სენატშიც საეჭვო გახდა დადებითი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ იყო საკმარისი ობამას შეჩერებისთვის.

ასე ჩანდა გარედან. და უცბად, საფრანგეთში მყოფი სახელმწიფო მდივნის ქერის განცხადება — პრეზიდენტს სირიის დაბომბვის დაწყების გადაწყვეტილება არ მიუღიაო. გამოითქვა აზრი — თუ სირიის ქიმიურ იარაღს მოევლება, უდავოდ გაჩნდება შანსი დიპლომატიური მოლაპარაკებებისთვის. ქერის ნათქვამს უმალ მოჰყვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის კონსტრუქციული წინადადება და მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით მყოფ სირიის საგარეო საქმეთა მინისტრთან მუალემთან გასაუბრება, ამ უკანასკნელის თანხმობა ქიმიური იარაღისგან ხელის აღების თაობაზე.

რუსეთის ინიციატივას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აშშ-ის პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან ცალ-ცალკე შეხვედრებში. მან აღნიშნა, რომ წინადადება მისაღებია და საჭიროებს სასწრაფო განხილვას, რომ აშშ ყოველთვის მხარს უჭერდა სირიის საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარებას, რომ ის სთხოვს კონგრესს ამ თემაზე კენჭისყრა გადადოს და ა.შ.

შემდეგ იყო ობამას მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი, ორი საპირისპირო მოსაზრებით აღსავსე - მილიტარისტულითაც და შემრიგებლურ-დიპლომატიურითაც. ორი მოსაზრება ერთ მიმართვაში, თანაც ერთობ ხანმოკლეში, ერთ ადამიანში, ამ შემთხვევაში აშშ-ის პრეზიდენტის თავში მოტრიალე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება, ომი და მშვიდობა.

ომის შემთხვევაში, თითქმის ეულად დარჩენილი აშშ-ის პრეზიდენტი — არა კონგრესი, არა ამერიკელი ხალხი, არა მოკავშირეები, თითო-ოროლას გარდა, არა მოკავშირე ქვეყნების მოსახლეობა, არა ვატიკანი, არა ნატო, არა ევროკავშირი, არა გაერო. და მეორე მხრივ, ომში ჩართული ირანი, რუსეთის დახმარება სირიისთვის, მათ შორის სამხედრო, რაც თქვა კიდევაც პუტინმა, „ჰესბოლასა“ და „ჰამასის“ შეტევები ისრაელზე, ირანის მსგავსი მოქმედება და ისრაელის პირისაგან მიწისა აღგვა, გაჭიანურებული ომი და ნობელის პრემიის ლაურეატის იმიჯის შერყევა, როგორც შინ, ისე გარეთ. მაგრამ ეს მომავალში.

სიტყვის წარმოთქმის მომენტში საჭირო იყო, რაღაც ისეთის თქმა, ავტორიტეტს რომ არ შეურყევდა პრეზიდენტს, არ დაანახვებდა ხალხს მის მერყეობას, აქეთ-იქით მიდებ-მოდებას, სუსტი პოზიციის ზეობას, პრეზიდენტის სისუსტეს.

„CNN“-სა და „BBC“-ზე პრეზიდენტის პირდაპირი გამოსვლის მოსმენამ ასეთი აზრი გამიჩინა — მიმართვის ტექსტის პირველი ნაწილი ერთმა ჯგუფმა დაწერა, მეორე ნაწილი კი — მეორემ. ვუსმენდი პირველ ნაწილს და ვფიქრობდი — სად არის გუშინდელი ობამა, რომელიც ჟურნალისტებს სირიის საკითხის მხოლოდ დიპლომატიური გზით გადაჭრას დაჰპირდა?

მიმართვის პირველ ნაწილში ისევ გაიელვა დიქტატორის ძალისმიერად დასჯამ, საჰაერო თავდასხმით, სირიის სამხედრო ობიექტების განადგურებამ, რომ აშშ-ი არ დაუშვებს რომელიმე დიქტატორის მიერ აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენებას, მითუმეტეს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რომ დამნაშავე ასადმა სამაგალითოდ უნდა აგოს პასუხი.

პრეზიდენტმა დაამშვიდა ხალხი, რომ სირიაზე თავდასხმას არ მოჰყვება სახმელეთო იერიში, რომ ამერიკელი ჯარისკაცი ფეხს არ დადგამს სირიის მიწაზე, რომ ამერიკას არავითარი საფრთხე არ ემუქრება სირიის მხრიდან (ეს იყო პასუხი სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის განცხადებაზე, რომელიც მან ამერიკულ ტელეკომპანიებთან ინტერვიუს დროს თქვა — სირია პასუხს გასცემს ამერიკას, ომი მეზობელ ქვეყნებზეც გადავა, განსაკუთრებით ისრაელზე), რომ ისრაელს აქვს ისეთი თავდაცვითი შეიარაღება, თვით მოუვლის თავის თავს და ა.შ.

შემდეგ იყო პაუზა, რომელსაც მოჰყვა მეორე ნაწილი — რუსეთის ინიციატივით, ქიმიური იარაღის განადგურებით, დიპლომატიური მოლაპარაკებით, ერთი სიტყვით — არა ომის დაწყებით. მეც ისევე, როგორც მილიონობით ადამიანმა მსოფლიოში, შვებით ამოვისუნთქე — ომი არ იქნება, უფრო სწორად, იქნება, თუ ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით ამერიკა-რუსეთი-სირია ვერ შეთანხმდება.

შეთანხმების პროცესი სასწრაფოდ დაიწყო ხუთშაბათს, ჟენევაში. მოლაპარაკებაში გამოყენებული იქნება გაეროს უშიშროების საბჭოს რესურსი. მოლაპარაკებას დრო სჭირდება, შესაძლოა თვეებიც, არანაკლები — თვით ქიმიურ იარაღზე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას და შემდეგ განადგურებას. მანამდე კონგრესის კენჭისყრა არ გაიმართება. ახლა, ყველაფერი მხარეთა საზრიანობაზეა დამოკიდებული, უმძიმესი პრობლემის მაგიდასთან გადაწყვეტის სურვილზე.

გლობალური კატასტროფის პირისპირ

ომს დიპლომატია სჯობს!

ამერიკის პრეზიდენტის მიმართვას უმაღლ მოჰყვა ინგლისის პრემიერ-მინისტრის განცხადება — რუსული წინადადების პრიორიტეტულობის თაობაზე, საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადება, რომ საფრანგეთი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებას, იყო სხვათა სრულიად შებრუნებული განცხადებებიც. იყო რუსეთის დუმის რეზოლუციაც — შერბილებული, მშვიდობის მოწოდებით, მაგრამ გამწვავების შემთხვევაში მეორე რეზოლუციის მიღების მუქარით — დაარტყამთ სირიას, იარაღს მივაწვდით ირანს. დუმელებს C-300 რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა ჰქონდათ მხედველობაში, თავის დროზე, შეთანხმების საწინააღმდეგოდ, მოსკოვმა რომ თეირანს არ მიაწოდა. მაშინ რუსეთ-აშშ-ის დიპლომატიურმა ვაჭრობამ შეიწირა ეს შეთანხმება.

გამოვიდა თუ არა აშშ-ის პრეზიდენტი მისსავე მიერ შექმნილი ჩიხიდან, მწვადისა და შამფურის დაუწველად? გადაურჩა თუ არა ახლო აღმოსავლეთი და მსოფლიო ომს? გაიზარდა თუ არა რუსეთის, კერძოდ პუტინის ავტორიტეტი მსოფლიოში?

დავიწყებ ბოლოდან. ის, რომ პუტინის ბაწერებით აივსო ევროპის ქალაქების ქუჩები წარწერით — ჩვენ თქვენთან ვართ! — თავისთავად მეტყველებს პუტინის ავტორიტეტის გაზრდაზე. რაც შეეხება მშვიდობას — რეგიონმა მიიღო სამშვიდობო პაუზა და არა მარტო რეგიონმა, მსოფლიომაც, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ვითარების დაძაბვა.

რაც შეეხება პრეზიდენტ ობამას იმიჯს, ის გაციცლებით უკეთესია, ვიდრე საომარი რიტორიკის დროს. პრეზიდენტმა შეძლო ძალთა მობილიზაცია, ომის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების შეჯერება, რევიზია, ადრე გამოთქმული საკუთარი განცხადებებისა — ერთობ მილიტარისტულის და აგრესიულისა და შეცვალა პოზიცია — ნობელის პრემიის ლაურეატისთვის შესაფერისად.

პრეზიდენტ ობამასათვის მშვიდომის დარგში ნობელის პრემიის მინიჭებამ მაშინ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია — ჯერ არაფერი გაუკეთებია და არაფრისთვისო? — ამბობდნენ მავანნი. როგორც ჩანს, არ შემცდარა ნობელის პრემიის კომიტეტი — აშშ-ის პრეზიდენტისთვის ნობელის პრემიის წინასწარ მინიჭებით. იქნებ ასეთი გადაწყვეტილება რომ მიეღო ბუშთან მიმართებაში, მსოფლიო გადაურჩებოდა ერაყ-ავღანეთის ომს?

წინასწარ მინიჭებაშიც არის რაციონალურობის რაღაც მარცვალი, რომელიც ომისკენ არ გაახედებს აშშ-ის პრეზიდენტს — რაც არ უნდა შუბლზე ძარღვგაწყვეტილი იყოს ის. არადა აშშ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან დაწყებული, დღემდე, იშვიათობას წარმოადგენს პრეზიდენტი, ვისაც დიდი ან პატარა ომი არ ეწარმოებინოს მსოფლიოს ამათუ იმ კუთხეში. იქნებ ნობელის პრემიამ შეაძლებინოს პრზიდენტ ობამას უომოდ დაასრულოს თეთრ სახლში დარჩენილი სამი წელი?! ჯერჯერობით ის იმსახურებს ქათინაურს, ისე, როგორც მისი რუსი კოლეგა. დანარჩენი მომავალზეა გათვლილი. „ქატო იქა, ფქვილი აქა“-მდე მძიმე შრომა ძევს — მსოფლიო მშვიდობისთვის, რომელშიც ვერც ამჟამად აღმოჩნდა საქართველო.

ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველომ მხარი დაუჭირა ამერიკას. საქართველოს „წვრილფეხა“ მინისტრობამ, ფანჯიკიძეალასანიას და სხვათა სახით, დაგმეს ბაშარ ასადის მიერ ვითომდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება და მოუწოდეს ობამას მკაცრი ზომებისკენ. საინტერესოა, იციან თუ არა მათ სირიის შესახებ ან რა იციან?

საქმეში ჩახედული მოხელე ინგლისის პარლამენტის, ამერიკის კონგრესის, ამერიკელი ხალხის, რომის პაპის ფრანცისკოს, გაეროს გენერალური მდივნის პან გიმუნის, ევროკავშირის, ნატოს, სხვათა და სხვათა ანტისაომარი განცხადებების შემდეგ თავს შეიკავებდა აშშ-ის მხარდაჭერისგან. როგორც ჩანს, მათ სირია, საქართველოდან შორს, ავსტრალიის კონტინენტზე ჰგონიათ და იქ რაც მოხდება, არ ანაღვლებთ.

უმწიფარი მინისტრების საყურადღებოდ: სირია აქვეა, თითქმის ჩვენს მეზობლად. იქ გაჩენილი ხანძარი საქართველოზეც გავრცელდება. მიზეზთა გამო ამის აშკარა ნიშნებიც არის. ქართული გამოთქმა „ჩათრევას, ჩაყოლა სჯობს“ — მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც ფიზიკური პირი წევს რისკს, მაგრამ, როდესაც მოხელე, ვინც არ უნდა იყოს ის, ქვეყანას ითრევს ომის მორევში, არ უნდა მოხელეობდეს. როგორც ჩანს, 2008 წლის სააკაშვილის ვოლუნტარიზმმა ვერაფერი გვასწავლა, თორემ ამერიკას კი არა, ხუთ ამერიკას არ დაუჭერდნენ მხარს.

გაივლის დრო და ის სამარცხვინო დოკუმენტი, რომელსაც საქართველოც შეუერთდა, სადღაც ამოტივტივდება, თანაც ძალიან ნეგატიურად. ვიყვიროთ მერე — აშშ-ის ელჩმა ნორლანდმა მადლობა გადაგვიხადა მხარდაჭერისთვისო. დაფასდება ყველა ის ქვეყანა, ვინც შეეწინააღმდეგა ოფიციალურ ვაშინგტონს, მხარი არ დაუჭირა მის მილიტარისტულ გეგმას, რითაც შეაგნებინა ობამას, რომ ომს, დიპლომატია სჯობს, რომ ნებისმიერი ომი, ისევ მოლაპარაკებით თავდება.

ობამამ დაიხია, მაგრამ ამ დახევით მან უდიდესი სიბრძნე გამოავლინა. ჩვენ?

საქართველოს თანამედროვე ისტორიაში დახევის, თავშეკავების მაგალითების უდიდესი დეფიციტია. 1989 წლის 9 აპრილს, პარლამენტის წინ შეკრებილმა მომიტინგეებმა არ დაუჯერეს უწმინდესსა და უნეტარესს, არ დაიხიეს, რითაც უკან დახიეს ქვეყანა.

1991 წლის დეკემბერში, თბილისის ომის დროს პრეზიდენტმა არ დაიხია, არ გაიზიარა ოპოზიციის წინადადება გადადგომასთან და ვადამდელი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით — თავიც წააგო და ქვეყანაც.

1992 წელს, მეორე პრეზიდენტმაც არ დაიხია, ომი გაახურა აფხაზ სეპარატისტებთან, რითაც ფაქტობრივად დაკარგა ავტონომია.

2008 წელს, ნაცვლად გონივრული მოქმედებისა, უგუნურობას მიეცა გასაქანი და რაც მთავარია, უკან არ დახევას. ეს ქვეყნისთვის კატასტროფით დასრულდა.

ოთხივე შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში გონებადახშული, აგრესიული ბუნების ადამიანები იღებდნენ მონაწილეობას. ყველა მათგანს თოფის გადაკიდება ვაუკაცობა ეგონა. თოფსაც თავისი ადგილი აქვს, მაგრამ მანამდე ჭკუაა საჭირო, სწორედ ის, თოფს რომ უვარგისს ხდის. სამწუხაროდ, ასეთი, ქართულ პოლიტიკაში არ ჩანს.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

უშიშროების აგენტი: პატრიოტი თუ მტერი?

უშიშროების გენერალ-მაიორს ანზორ მაისურაძეს ქართული განათლებული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს, ამიტომ მისი წარდგენა ჩვენი მკითხველისათვის, მგონი, არც უნდა იყოს აუცილებელი.

მასთან საუბარი ხშირ შემთხვევაში, მცდარად, ან ცალმხრივად გაგებულ თემას ეხება: უშიშროების აგენტი და სახელმწიფო უშიშროება.

— ერთ-ერთ საუბარში, ბატონო ანზორ, ასეთი მინიშნება გააკეთეთ, უფრო ზუსტად, გაიმეორეთ თქვენი თანამშრომლის ნათქვამი: ახლადარჩეულ პარლამენტს რომ გავხედე (ზვიად გამსახურდიას პერიოდის პარლამენტზე ლაპარაკობდა), მეგონა, ჩემს სეიფში შევიხედეო. გაშიფრავთ?

— მე მგონი, გაუშიფრავადაც ყველა მიხვდება. მისი ნათქვამი ნიშნავდა, რომ ახლადარჩეულ პარლამენტში ძალიან ბევრი იყო ისეთი დეპუტატი, ვინც ჩვენთან თანამშრომლობდა.

— სხვანაირად რომ ვთქვათ, აგენტები იყვნენ. ამ თემაზე ვისაუბროთ თუ შეიძლება: სახელმწიფოს უშიშროება და აგენტურა.

— გიპასუხებთ, ოღონდ ცოტა შორიდან დავიწყებ. 1961 წელს კომკავშირული საგზურით გამაგზავნეს მოსკოვში საკავშირო უშიშროების უმაღლეს ორწლიან კურსებზე სასწავლებლად. შერჩევა უაღრესად მკაცრი იყო: ჩარიცხვის კანდიდატს უნდა ჰქონოდა უმაღლესი განათლება, უნდა ყოფილიყო კომკავშირული ან პარტიული მუშაკი, ცოლ-შვილიანი, ახალგაზრდა. ეტყობა, ჩემი მონაცემები ამ მოთხოვნებს სრულად დაემთხვა. ამ დროს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი ერთი წლის წინათ მქონდა დამთავრებული და რუსთავის ქიმიური ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვიყავი. ცხადია, ყველა კანდიდატს გამოწვლილვით ამოწმებდნენ. სსრ კავშირში მცხოვრები 350 მილიონიდან 50 კაცი შეგვარჩიეს. მოკლედ, ჩამრიცხეს. პირველი ლექცია წაგვიკითხა უშიშროების პოლკოვნიკმა, რომელმაც ასე დაიწყო:

— ჩემო ძვირფასო ამხანაგებო, ახალგაზრდა ოფიცრებო, მინდა გითხრათ, რომ საბჭოთა კავშირში არიან ჩვენი სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტები, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობენ ჩვენთან. ე. წ. აგენტურა. ამ ადამიანების დახმარებით ჩვენ ვებრძვით ჩვენი ქვეყნის მტრებს, და ჩამოთვალა ეს მტრები (მკითხველებს ვთხოვთ, ყურადღება მიაქციონ, ლექციის შესავალი აბზაცის საკვანძო სიტყვებს — „არიან სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტები“. ამ თემას ქვემოთ დავუბრუნდებით — **ა. ა.**).

მოვისმინე ეს და ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდი: ჩემთვის, როგორც საერთოდ ჩვენი პლეადის ახალგაზრდებისთვის, აგენტი და აგენტურა საშინელება იყო. ცხელ გულზე თბილისში დაბრუნება გადავწყვიტე. მაგრამ შემდეგ დავფიქრდი. ცეკას დადგენილებით აქ გამოგზავნილ კაცს, ასე იოლად უკან არ დამაბრუნებდნენ, რაღაც უარყოფითი რეაქცია აუცილებლად მოჰყვებოდა. ეს ერთი. მეორე, გადავწყვიტე რამდენიმე თვე დავრჩენილიყავი და კარგად გამერკვია, რასთან მქონდა საქმე. იანვარში გამოცდები რომ ჩავაბარე და სპეცდისციპლინებს რომ გავეცანი, შთაბეჭდილება შემეცვალა. ინგლისური ენის გარდა, ჩვენ უნდა შეგვესწავლა სპეცდისციპლინები, რომლებსაც ამ კურსების გარდა საბჭოთა კავშირის არც ერთ უმაღლეს სკოლაში არ ასწავლიდნენ.

ინტერესმა დამძლია. და ბოლოს ეს აგენტურა ისე გავითავისე, რომ იმ ძველი ნეგატიური დამოკიდებულებიდან აღარაფერი დარჩა. დავრწმუნდი, რომ არც ერთ სახელმწიფოს, რომელ ისტორიულ პერიოდში გინდა ავიღოთ, ამ ინსტიტუტის გარეშე არ შეუძლია. ამას ადასტურებს ცივილიზებული კაცობრიობის ისტორია, მათ შორის, საქართველოსიც.

დავით აღმაშენებელმა, საყოველთაოდ ცნობილია, ყველაფერი გააკეთა საქართველოს გაერთიანებისთვის. მას არაფერი გამოუვიდოდა, რომ არ ჰყოლოდა მსტოვართა ძლიერი ინსტიტუტი, ანუ აგენტურა. აღმაშენებლის ისტორიკოსი ამბობს, რომ არა საქმე ქვეყანასა შიგან არ ხდებოდა, რაცა მეფემ არ იცოდაო. ცოლსა ვერაფერი ეთქვა ქმრისთვის და ქმარს ცოლისთვის, მეფისთვის საცნობი რომ არ ყოფილიყოო. თითქოსდა კედლებსაც ყურები ჰქონდა გამობმულიო...

— სპარსული ანდაზაა: დივარ მუშ დარედ, მუშ გუშ დარედ — კედელში ზის თაგვი და თაგვს აქვს ყურები.

— სწორედ ასეა... დავით აღმაშენებელს ჰქონდა ყოველნაირი ინფორმაცია იმის შესახებ, რაც ხდებოდა მეზობელ ქვეყნებში და მათ იქითაც. ეს ყველაფერი იმიტომ შეგახსენეთ, რომ როცა ნებისმიერი ხელისუფლება არ ფლობს ასეთ ინფორმაციას, იგი დოყლაპია ხელისუფლებაა. მაგრამ თუ იცის და შესაბამის ღონისძიებებს არ განახორციელებს, ეს მარტო დოყლაპიობა კი არ არის, არამედ დანაშაულია ერისა და ქვეყნის წინაშე.

ასეთია ობიექტური რეალობა, მაგრამ საქართველოში აგენტი და აგენტურა მკვეთრად ნეგატიურ ასპექტში იქნა აღქმული — „ჩაშვებობის“ სინონიმი გახდა.

— ეს მოდის, უთუოდ, იმ პერიოდიდან, როცა დაბეზღება, „ჩაშვება“ უსაფუძვლოდ და პირადი დაინტერესებით, საქართველოში ცუდად გავრცელდა, რასაც გარკვეულმა ისტორიულმა პირობებმა შეუწყო ხელი.

— გეთანხმებით. ეს იყო ტრაგიკული ანომალია. მაგრამ აგენტი პირვანდელი და ჭეშმარიტი გაგებით არის კაცი, რომელიც გვერდში უდგას სახელმწიფოს, ემსახურება მის ინტერესებს და ეხმარება ხელისუფლებას ქვეყნის სწორად მართვაში.

— სხვათა შორის, ატომური იარაღის შექმნის ისტორია საბჭოთა კავშირში ამ დებულების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

— ვინმე წარმოიდგენდა იმას, რომ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი-ფიზიკოსი ოპენგეიმერი ომის წინა წლებში ჩამოსული იყო საბჭოთა კავშირში, ცხოვრობდა ლავრენტი ბერიას აგარაკზე, რომ სტალინმა მიიღო და ბელადის პირადი მონაწილეობით მოხდა მისი გადმობირება.

მაშინ ატომურ ბომბზე ლაპარაკიც არ იყო საბჭოთა კავშირში, მაგრამ სტალინმა განჭვრიტა, რომ ატომური ენერგიის გარეშე პერსპექტივაში შეუძლებელი იქნებოდა იმ უდიდესი პრობლემების გადაჭრა, რომლებიც ქვეყნის წინაშე დადგებოდა, სსრკ ვერ გახდებოდა ზესახელმწიფო. ოპენგეიმერი აშშ-ში ატომური იარაღის პროექტის ერთ-ერთი უპირველესი ხელმძღვანელი იყო და მისი გადმობირება ჰაერივით სჭირდებოდა ამ პრობლემებზე მომუშავე საბჭოთა მეცნიერებს, რომელთა საქმიანობა ბევრი მიმართულებით ადგილზე ტკეპნას ჰგავდა.

სტალინმა, როგორც ცნობილია, აუხსნა და დაარწმუნა ახალგაზრდა მეცნიერი, რა კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოსთვის, თუ ატომური იარაღი მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდება.

ოპენგეიმერი დათანხმდა იმიტომ, რომ მისი იდეურ-პოლიტიკური პლატფორმა სრულიად მიესადაგა სტალინისას, ბევრს ჰგონია, რომ აგენტად გადმობირება მაკომპრომენტირებელი მასალების საფუძველზე ხდება. მინდა გითხრათ, რომ ამ მეთოდით გადმობირებული აგენტი სანდო არ იყო.

— რახან „კომპრომატები“ ახსენეთ, გკითხავთ, რა დამოკიდებულება გაქვთ წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ ჩაწერილი აუდიო და ვიდეო მასალისადმი, რომლებიც დაუმთავრებელი კამათის საგანი გახდა საქართველოში: უნდა წაიშალოს და განადგურდეს, თუ უნდა დარჩეს უშიშროების ან შინაგან საქმეთა სტრუქტურების სეიფებში?

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რას ემსახურებოდა ეს ჩანაწერები. თუ სახელმწიფო ინტერესებს ემსახურებოდა, უნდა დარჩეს, მაგრამ თუ ეს იყო ცალკეული მაღალი რანგის ჩინოვნიკების ხუშტურების დასაკმაყოფილებლად გაკეთებული ჩანაწერები, უნდა განადგურდეს.

— იქნებ გადასაბირებლად სჭირდებოდათ?

— მათქმევინეთ: საქმეც ის არის, რომ თუ სახელმწიფოს გადაბირებისთვის სჭირდებოდა, უნდა დარჩეს. თუ პირადი ინტერესები ედო საფუძვლად, მაშინ ეს არის დანაშაული და სასტიკად უნდა დაისაჯოს ასეთი განკარგულების გამცემიც და შემსრულებელიც.

მოგეხსენებათ, რომ მიყურადება, თვალთვალი იყო, არის და მომავალშიც იქნება.

— ახლაც არის?!

— ნუ გიკვირთ, არის და იქნება. მიყურადება, კაცმა რომ თქვას, არა მარტო არაეთიკურია, არამედ — ამორალურიც.

— როგორც სხვისი წერილების წაკითხვა.

— საზიზღრობაა. მაგრამ, როცა აქ არის სახელმწიფოს ინტერესები, როცა სახელმწიფოს სჭირდება დანაშაულის, ღალატის და ა. შ. ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ან უკვე ჩადენილი უკანონობის დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებათა მოპოვება, მაშინ სპეცსამსახურები იძულებული და ვალდებული არიან, საკანონმდებლობის სრული დაცვით, ასე მოიქცნენ. როცა საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება ვინმეს მიმართ, მაშინ აუცილებელი ხდება ამ პიროვნების ცხოვრების შესწავლა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ჩვენ დროს ასე იყო: პირველი პერიოდი 6 თვეს გრძელდებოდა. თუ ამ ხნის განმავლობაში დასტურდებოდა, რომ ეჭვი საფუძვლიანი იყო, შესწავლა ერთ წლამდე გრძელდებოდა. თუ გამოიკვეთებოდა, რომ დამუშავებაში მყოფი პირი მართლაც არის დამნაშავე, სამი წლის ვადა გვეძლეოდა. დაბოლოს, უნდა მომხდარიყო ამ საქმის რეალიზაცია. ეჭვმიტანილი უნდა დაგვეპატიმრებინა და მისი საქმე სასამართლოსთვის გადაგვეცა.

— და ამ საქმეში აგენტებიც მონაწილეობდნენ?

— საჭიროებისდა მიხედვით.

— ვინ უნდა დაადგინოს, ბატონო ანზორ, იმ ჩანაწერების, რომლებზეც ვსაუბრობთ, განადგურება-შენარჩუნების საკითხი, კერძოდ, სჭირდებოდა თუ არა სახელმწიფოს ეს ჩანაწერები?

— პროფესიონალებმა! აჩვენებენ ამ ჩანაწერებს ჟურნალისტებს, არასამთავრობოების წარმომადგენლებს, პარლამენტარებს და არა ყოფილ თანამშრომლებს, რომლებმაც იციან თითოეული ფაქტის უკან რა თუ ვინ დგას. მხოლოდ ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ უნდა გადაწყვიტოს ნებისმიერმა კომისიამ, როგორ მოექცნენ უკვე ათასობით დაგროვილ ჩანაწერს.

— პირადი ცხოვრების საკითხი რომ დგას?

— რომელი პირადი ცხოვრების: როგორ ქეიფობს? ფეხბურთს როგორ თამაშობს, თუ თეატრში როგორ დადის?

— თეატრში სიარული პლიუსია.

— (ეღიმება). აბა, რომელ პირად ცხოვრებაზეა საუბარი?

— ავხორცობაზე, გაუკულმართებულ სექსუალურ ურთიერთობაზე...

— ასეთი გაუკულმართებით რატომ ცხოვრობ, ვინ ხარ ასეთი, შე შობელძაღლო? ჰა? რატომ უნდა განადგურდეს? იმიტომ, რომ არავინ გაიგოს?

— დასავლეთში, რომლისკენაც მივისწრაფვით, არ მალავენ თავიანთ მამათმავლობას მაღალ თანამდებობებზე მყოფი მოღვაწეები — მინისტრები, უდიდესი ქალაქების მერები...

— თუ იმიტომ გააკეთეს ჩანაწერები, რომ მავანი მამათმავლის გადმობირება იყო საჭირო, რაც ქვეყანას სარგებელს მოუტანდა, მაშინ არ უნდა განადგურდეს.

— ბატონო ანზორ, ინტერვიუს დასაწყისში თქვენ გაიხსენეთ პირველ ლექციაზე შემოსული პოლკოვნიკის სიტყვები, რომ უშიშროებასთან თანამშრომლობდნენ „ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტები“ და ა. შ.

თქვენი სამსახური — სახელმწიფო უშიშროება — საიდან, მოქალაქეთა რომელი ფენებიდან, რა დონისა და განათლების ადამიანებს იბირებდა საიდუმლო სამსახურში, აგენტებად? თუ პირდაპირ ქუჩიდან მიგყავდათ?

— არა და არა! ჩვენთან რამდენიმე მიმართულება იყო, რომელთაც ეწოდა Линейно-техничный образование сектор (სახაზო-ობიექტური მიმართულება). მაგალითად, მუშაობდა ახალგაზრდობის ხაზი, მისი ობიექტები იყო უმაღლესი სასწავლებლები; მეცნიერების ხაზი, ობიექტები — სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები; სამედიცინო ხაზი, ობიექტები — კლინიკები, საავადმყოფოები და ა. შ. ეს ნიშნავდა, რომ აგენტები უნდა გვყოლოდა იქ, სადაც საჭირო იყო. სადაც საჭირო არ იყო, ძალიანაც რომ გდომოდა, არავინ მოგცემდა აგენტის ყოლის უფლებას.

— მაგალითად, პარტიულ ფუნქციონერთა შორის.

— დიახ. ეს კატეგორიულად იყო აკრძალული სტალინის მიერ გაცემული დირექტივით.

— როგორ არჩევდით?

— კონკრეტული მონაცემების მიხედვით: უნდა ყოფილიყო იდეურად მდგრადი პიროვნება, თავის დარგში გამორჩეული და ავტორიტეტული, რომლის აზრს, პოზიციას იზიარებდნენ კოლეგები და რომლის ნდობა შეიძლებოდა. უნდა ყოფილიყო შეფასებაში ობიექტური, უმწიკვლო და სუფთა ადამიანი.

— მათ შორის შეიძლება ყოფილიყვნენ ქვეყნის სახელოვანი ადამიანები?

— რატომაც არა! ეტყობა, ღირს ამ თემაზე დაწვრილებით საუბარი.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში სამუშაოდ რომ მივედი, 1963 წელი იყო. ჩამაბარეს ახალგაზრდული ხაზი — სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები. დაზვერვის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ დამავალეს მთელი ჩვენი ემიგრაციის და თურქეთის ხაზების ყურადღება, შემდეგ — მეცნიერებათა აკადემია და ბოლოს და ბოლოს იმხელა ხელმძღვანელი გავხდი, რომ ყველაფერი ჩემთან შემოდიოდა. ჩავიხედე ამ საქმეში ღრმად, საფუძვლიანად. ეს აუცილებელი იყო, რადგან თუ არ გაეცნობი არქივს, კარგად არ შეისწავლი და არ გააანალიზებ იმას, რაც შენამდე ხდებოდა, რა ტენდენციები იყო და ა. შ., ვერ გაიგებ, რა ხდება დღეს.

ჩავიხედე და, არ დაგიმალავთ, გავვოცდი... პირდაპირ გეტყვით, რაც ვნახე, მაგრამ არ მთხოვოთ გვარების დასახელება: საქართველოს სამეცნიერო თუ შემოქმედებითი ინტელიგენციის მეტ-ნაკლებად ცნობილი წარმომადგენელი, თითქმის ყველა, ამა თუ იმ ფორმით თანამშრომლობდა ჩვენთან.

იხ. 9 გვ.

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №207

„ხელოვნების ნიმუშები თავისი დროის და ეპოქის ნიშნებია“... — ასე ფიქრობს მხატვარი მალხაზ კუხაშვილი, რომელსაც დღეს, შაბათ საღამოს, შარდენის ქუჩაზე, საკუთარ პერსონალურ გამოფენასა და ალბომის პრეზენტაციაზე ვნახავთ...

(კრებული, გამოცემული საქართველოს კულტურის სამინისტროს ეგიდით, ჯერ საზოგადოებას არ უნახავს, მაგრამ ამბობენ, რომ თავისი შინაარსით, დროსაა აცდენილი ანუ იმდენად სერიოზულია და აკადემიური, რომ ჩვენი ზედაპირული და ზერელე ყოველდღიურობის ჩარჩოში არ ჯდება. ვინ იცის, იქნებ ამგვარი დამოკიდებულება ხელოვნების საგნისადმი რაღაც ახლის, კარგის დასაწყისების ნიშანია კულტურის სახელმწიფო პოლიტიკაში და სამომავლოდ იმედით განგვაწყობს...)

მხატვრის სახელოსნო

„საიდან მოდის ეს თემები“...

(იგენჯდეგა პირველად)

ჰოლის, ვრცელი ოთახისა და ანტრესოლის კედლებზე თუ იქვე, იატაკზე დალაგებული, სხვადასხვა ტექნიკით (გუაშით, პასტელით, ზეთის საღებავებით, სანგინით, ფანქრით, ფლომასტერით, ტუშით, მელნით, ნახშირით) შესრულებული ნახატების, გრავიურებისა და პლაკატების, თეატრისა და კინოს ესკიზთა გარემოცვაში ხვდები. ბუხრის გვერდით, კუთხის განიერ ტახტსავარძელთან მიდგმულ დიდ, დაბალ მაგიდაზე, ერთ მთლიან „ნატურმორტად“ აღიქმება წიგნები, ფურცლები ჩანახატებით, ფუნჯები, ფანქრები, ხილი და ტკბილეული... სახელოსნოში ოფორტის ძველი საბეჭდი დაზგაცაა, რომლის ამოქმედებას მოუცლელობის გამო „დიდი ხანია ცდილობს მხატვარი“. ერთი შეხედვით, თითქოსდა დაუდევრად, აქა-იქ გაფანტული ნივთები, ოდნავ ქაოტური და იმავდროულად მშვენიერი სამყარო მნახველსაც შემოქმედებითად მუხტავს. ამგვარი გარემოსათვის სრულიად შესატყვისია ოჯახის „აფორიაქებული“ და მოუსვენარი დიასახლისი, მხატვრის მეუღლე, მეგობარი და შემოქმედების მუზა, ყოფილი მსახიობი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მანანა თევზაძე. მისი პორტრეტებით სავსეა ჰოლის თუ სახელოსნოს ოთახის კედლები და მისივე ხასიათი თუ გარევნული შტრიხები თითქოს სხვა ნამუშევრებშიც, სხვა ქალბატონების სახეებზეცაა აღბეჭდილი...

მალხაზ კუხაშვილის შემოქმედებაში თვალსაჩინოა შესრულების მრავალფეროვნება. იგი არ „ემორჩილება“, არ ანიჭებს უპირატესობას ერთ რომელიმე მიმდინარეობას, ხატავს ხან რეალისტური (პოზიტიური გაგებით), ხან ნეოკუბისტური, ანდა ნეოექსპრესიონისტული „მანერით“ და წინასწარ ვერც გეტყვით, თუ „ხატვის დასრულებისას რა გამოუვა“... ნახატებში პირველყოვლისა თვალშისაცემია ადამიანი, მოქცეული სიმბოლურ დროში, სივრცეში, ან კონკრეტულ სიბრტყეზე. მხატვარი პრიორიტეტს ანიჭებს პორტრეტს, სადაც პერსონაჟი დომინირებს თავისი განცდებით, მწუხარებით, სიხარულით... აქ ვერ იპოვით ხასიათთა ხელოვნურ დრამატიზაციას. მისი პერსონაჟები (მიუხედავად განცდებისა), უმთავრესად მაინც მშვიდნი, შინაგანად გაწონასწორებულნი, საკუთარ ფიქრებში ჩაძირულნი, იდილიურ განწყობას ქმნიან. ეს მიმზიდველი გარემო იმდენად გიპყრობს, რომ გგონია, თავადაც ხდები მხატვრის შემოქმედებითი სამყაროს, მისი სულისა და აზროვნების გამზიარებელი და დროებითი ნაწილი...

მალხაზ კუხაშვილის შემოქმედებაში რეალურ პიროვნებათა პორტრეტებთან ერთად ხშირად გვხვდება წარმოსახვითი პორტრეტებიც. მათში იმდენად ძლიერია ადამიანის სულიერი მოძრაობის მხატვრისმიერი განცდა, რასაც სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით შესრულებულ არა ერთ ნახატში ვხვდებით, რომ სრულიად გასაგებია ავტორის დამოკიდებულებები ადამიანის ღირსებათა შეფასებისას.

ქალთა პორტრეტების არა მარტო ხსენებულ სურათებში, არამედ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდის ნამუშევრებიდან (ქალისა თუ მამაკაცის პორტრეტებში) მოკრძალებით დაწყებული, 70-80-იან წლებში უფრო დახვეწილი, შემდეგ თანდათან უფრო სრულყოფილად წარმოჩენილი ნამუშევრების თვალის ერთი გადავლებითაც კი ნათელი ხდება მხატვრის შემოქმედებითი ხედვისა და აზროვნების მახასიათებლები, რაც დღემდე გრძელდება. ყველგან გაცხადებულია დაინტერესება სურათებზე ასახულთა ცხოვრების მძაფრი, დატვირთული მომენტებისადმი – უმთავრესად საკუთარ თავთან განმარტოებული და ფიქრებში ჩაძირული, სადღაც მიმალული და მაინც ჩენილი სევდის – გადმომცემი წამიერება აინტერესებს მხატვარს. ნყოველი ნამუშევრისათვის (ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა) „აუცილებელია“ დეკორატიულობა, მასალის და წერის მანერის მრავალგვარობა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, ვფიქრობ, აქვე ძალზე მოკლედ შევეხოთ 90-2000-იან წლებში შექმნილ „რეალისტურ“ და მხატვრის წარმოსახვით შესრულებულ რამდენიმე პორტრეტს, რათა თვალნათლივ დავინახოთ მათ შორის საერთოცა და განმასხვავებელიც.

მხატვრის სახელოსნოში გრაფიკულ ფურცლებსა და ნახატებს გარდა, მრავლადაა ჩანახატები და ესკიზები. ისინი საინტერესოა არა მარტო შესრულებით, არამედ იმ ფორმადქცეული ძიების მომენტებით, შემდეგ დასრულებული სახით რომ წარმოდგება ნახატებში. სხვადასხვა მასალით შესრულებულია (უპირატესობა ტუშს ენიჭება), ერთმანეთისგან განსხვავებული, ძალზე მეტყველი მრავალი სახე, ხასიათი და მას დაქვემდებარებული წერის მანერა, იქნება ეს „დაწოლილი“, ძლიერი შტრიხები, „აბურდული“ თუ ფილიგრანული ხაზები, თხლად გადასმული თუ მსუყე ლაქები. საინტერესოა, რომ „ესკიზურობის“ მიუხედავად, თითოეულ მათგანში იგრძნობა მხატვრის სერიოზული დამოკიდებულება ასასახი ობიექტისა თუ კომპოზიციის აგებისადმი.

„ყველა კომპოზიციაში წინ რაღაც ტიპი მოდის, ზოგჯერ ის მეორდება. ეს ალბათ მაშინ, როცა თემა გამოსავალს ეძებს. ხშირად ვფიქრობ იმაზე, თუ საიდან მოდის ეს თემები“... – ამბობს მხატვარი.

მცირე ფორმატზე შესრულებული ჩანახატები მხატვრისათვის ის საწყისია, ის ერთგვარი „სასინჯი ქვაა“, რომელიც მის მუდმივად ძიებებით აღსავსე შემოქმედებაში შემდეგ და შემდეგ იჩენს თავს.

70-80-იან წლებში მხატვარი ქმნის გრაფიკულ ფურცლებს ალეგორიული, სიმბოლური დატვირთვითა და ზოგან კონკრეტული პიროვნების გამოსახულებით. ერთ პერიოდში, ერთი და იგივე წლებში შექმნილი ნაწარმოებები განსხვავდება, როგორც ზემოთ აღნიშნული პორტრეტებისაგან, ასევე ერთმანეთისგანაც, რაც გამოიხატება თემის მრავალფეროვნებით, წერის მანერის ნაირგვარობით, თავისებური გამომსახველობითა და ხშირ შემთხვევაში მრავალფიგურიანობით ...

მალხაზ კუხაშვილის შემოქმედების მრავალფეროვნებას, პოლისტილისტიკას და მრავალმხრივობას მისი განსაკუთრებული პროფესიული ალღო და ხელოვნების საგნისადმი დამოკიდებულება ამთლიანებს, რითაც გამორჩეულ და მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში.

მხატვრის თანდაყოლილი ნიჭი და პროფესიული კულტურა უმთავრესად გრაფიკაშია გამჟღავნებული; ერთსა და იმავე ნამუშევარში სხვადასხვა ხელწერით მუშაობა მისთვის განსაკუთრებით ახლობელი და საინტერესო სტილია და ზოგჯერ ერთი სახე ხელოვნების რამდენიმე მიმართულების ასოციაციას იწვევს, რომლებიც ერთმანეთთან მშვიდად თანაარსებობენ.

მალხაზ კუხაშვილთან, როგორც, პირველ ყოვლისა, გრაფიკოსთან, მნიშვნელოვანია ხაზი. მისი საშუალებით მხატვარი სურათის ხასიათს და იმ ძირითად სათქმელს გადმოსცემს, რაც თითოეული ნამუშევრის შექმნით სურდა და სურს. ფანქრის რამდენიმე „მონასმით“ ქმნის იგი მოცულობით ფორმებს, მსუბუქი ბაცი ხაზებით პირობითად შესრულებულ, მაგრამ სრულად აღსაქმელ ფორმათა მოძრაობას, პლასტიკას, თუ მკაფიო სილუეტს. მისი ხელწერისათვის დამახასიათებელია სუფთად დატოვებული ფურცლის დიდი და მცირე მონაკვეთების მონაცვლეობა, მათსა და გამოსახულებებს შორის დაპირისპირება – „ჭიდილის“ შედეგად წარმოქმნილი ჰარმონიულობა. ღრმა ემოციების გამომსახველი ხაზი არა მარტო კონკრეტული პორტრეტებისათვის, არამედ მხატვრის მთელი შემოქმედებისათვის არის დამახასიათებელი.

მალხაზ კუხაშვილის გრაფიკული ხაზი, მეტყველი ემოციურობით, არა მკვეთრად გამოხატული, არამედ ღრმა შინაგანი განცდითა და ჩუმი სევდით, სიცოცხლის სიყვარულით, დაუსრულებლობით, ზოგჯერ კი დრამატულობითა და ლირიკულობით ხასიათდება. ეს დენადი, რბილად გარდამავალი, ტეხილი, ხან ზიგზაგური ხაზი „სიცოცხლისა“ და „სიხალისის“ თუ ფორიაქისა და მელანქოლიური განწყობის აღმძვრელია.

მას შეუძლია შეასრულოს აკადემიური შტუდიური, რეალისტური ნახატი და იმავდროულად იმუშაოს „რენესანსულ“, „აბსტრაქტულ-კუბიზმისეულ“ მანერაში და ნებისმიერ შემთხვევაში მაყურებელს ხელოვნების ხილვით გამოწვეული სიამოვნება მიანიჭოს. ამასთანავე აღსანიშნავია მხატვრის პროდუქტიულობა, გამოხატული მასალისა და ხელწერის მრავალგვარობით.

მხატვრის ემოციურობა იკითხება ამა თუ იმ თემის სერიებად განვრცობაშიც, მისთვის ბოლომდე ამოუწურავი და მრავალგზის განმეორებული ერთი და იგივე კომპოზიციის სხვადასხვა ვარიაციით შესრულებაშიც, საკუთარი სათქმელის კიდევ არა ერთი ინტერპრეტაციის შემოთავაზებაშიც.

* * *

თუკი ყველა მხატვარმა უნდა იფიქროს თავის „ფიქრებზე ხელოვნების შესახებ“ ანუ საკუთარი კონცეპტი შექმნას, ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია მალხაზ კუხაშვილის აზრიც მხატვრობისა და შემოქმედის დანიშნულების შესახებ:

„ – ხელოვნების შეფასების ზუსტი კრიტერიუმი არ არსებობს, ყველა მხატვარი ცალკე პიროვნებაა“...და მაინც მგონია, რომ მხატვრობა – ეს არის ფორმა, ეს არის ფერი და ეს არის კომპოზიცია... რაც შეეხება ოსტატობას, მედიჩებით დაწყებული დასრულებულ ნამუშევარს კი არ ყიდულობდნენ, არამედ იმის მიხედვით არჩევდნენ, თუ როგორი გრუნტი იყო დადებული, პირველად გრუნტს აკვირდებოდნენ; ოსტატობა ისედაც მაღალ დონეზე იდგა... ამ პერიოდის მხატვრობას თუ გადავხედავთ, უმაღლესი პროფესიული ოსტატობაა თვალშისაცემი, რაც შეეხება ტილოზე კარგად დადებულ გრუნტს, ის სურათს უფრო დიდხანს ინახავს, არ სკდება და არ ზიანდება... მარადიულობის შეგრძნება მედიჩებს არ ეშლებოდათ, მთელმა რენესანსულმა პერიოდმა მათ ხელში გაიარა, ამავე დროს კულტურაში სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არსებობდა... როდესაც რომელიმე ეპოქასა და კულტურაზე საუბრობენ, საილუსტრაციოდ ამ პერიოდის ხელოვნების ნიმუშები გამოაქვთ, რადგან სწორედ ისინი არიან დროისა და ეპოქის ნამდვილი ნიშნები...

...დღეს იძულებული ხარ შემოქმედებაზე ნაკლები იფიქრო და იფიქრო სამსახურზე, სოციალურ პრობლემებზე... ხელოვანს სხვა მისია აკისრია, სამსახური მხატვრისთვის დაკარგული დროა, მან შემოქმედებითად უნდა იმუშაოს...

და მაინც, საღამოობით, დაღლილი აღმოვაჩენ, რომ ფანქარი მიჭირავს ხელში და ვხატავ, ვხატავ ყველაფერზე – ქაღალდზე, მუყაოზე, ხელსაწმენდზეც კი...

მიუხედავად იმისა, რომ თვალსა და ხელს შუა მიქრება წლები, ვხატავ და ვფიქრობ ახალ გამოფენაზე...

ნათია ასათიანი

ცხოვრების დაუმთავრებელი წიგნი

სოფიო მორჩილაძე მეუღლესთან, გოგი ბერაძესთან ერთად

სოფიო მორჩილაძის მოგონებათა რვეული ჩვენი უახლესი ისტორიის ფურცელია და თუ რა არის აქ სამომავლოდ ღირებული, არა მარტო შინაარსით განისაზღვრება, არამედ ავტორის დამოკიდებულების გამოხატვით. როგორი ტიპის ადამიანებს ქმნის ესა თუ ის დროება, რას ნიშნავს და როგორია კონკრეტული ეპოქის იდეალები, როგორია ჩვენი ახლო წარსულის დროის მახასიათებელი, საერთო და რადიკალურად განმასხვავებელი ნიშნები?...

ქალბატონ სოფიო მორჩილაძის თაობას ჰქონდა სამყაროს თავისებური ხედვა, მათივე გარემოებისგან ჩამოყალიბებული. სრულიად განსხვავებული პროფესიის თუ სოციალური წარმომავლობის ადამიანების წერილებსა თუ მოგონებებში ხელმოუწერელადაც იგრძნობა იმ ეპოქის ინტონაცია, სოციალურ-პოლიტიკური არეალი.

სამშობლოსგან მაშინ რჩეულნი ითხოვდნენ (სოციალური თვალსაზრისით) მინიმუმს, მაქსიმუმი თავდადების სანაცვლოდ. უფრო სწორად, არც ითხოვდნენ, უბრალოდ, კმაყოფილდებოდნენ მინიმუმით.

ჩვენ შეიძლება ვიკამათოთ, თუ რაოდენ მიმზიდველია ის სივრცე, გაიდეალებული პერსონაჟები, საგნები თუ იდეოლოგია, მაგრამ საგულისხმოა, თუნდაც, ამ წიგნის ავტორის, სიმართლე და გულწრფელობა, საკუთარი საქმისა და იდეების ერთგულება.

„როცა ჩემს წინ რაღაც სიძნელეები აღიმართება, სწორედ მაშინ ვარ ძლიერი“... – ეს ფრაზა შეიძლება ქალბატონ სოფიოს ავტოპორტრეტადაც წარმოვიდგინოთ.

წიგნის ფურცლებზე გაიელვებენ მის თანამედროვეთა დადებითი თუ უარყოფითი სახეები, ჩვენთვის უცნობი და ძალიან ნაცნობი ადამიანები... ისტორიული მოვლენები, თარიღები, პერიპეტიები... ომიც და მშვიდობაც... და მაინც რომელია უფრო საშიში? ბრეხტისეული სენტენციის – „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ,ხალხნო“!.. უნებური ინტერპრეტაცია: 1945 წლის 10 მაისია. „დიდი სამამულო ომის“ ფრონტებიდან მებრძოლი ქალების დემობილიზაცია იწყება. „...ჩემთვის ომი დამთავრდა! ჩემს ქალაქში ვარ, მაგრამ ვერსად ვერ მივდივარ... ჩემი ოთახი გაძარცვულია. კარზე ვის მივადგე?... ფრონტზე ყოფნა სჯობდა. იქ დასაქმებული მაინც ვიყავი...“

ქალბატონ სოფიოს მთელი ცხოვრება დაუმთავრებელი, გაბმული ომია. აქ ჩანს მისი სულისკვეთება, გაბედულება, სიტუაციების ფლობის უნარი, ბედთან შეუგებლობა... და თუ საიდან და როგორ იკრებდა მისთვის აუცილებელ ძალებს, თავად წიგნი მოგვითხრობს.

ხელნაწერი მოულოდნელად, ფინალური აკორდის გარეშე წყდება. როგორ წარიმართა ქალბატონ სოფიოს, ამ დაუსრულებელი წიგნის ავტორის, ეპოქის ორომტრიალში ჩართული, მებრძოლი, არაერთგზის გულნატკენი და იმედგაცრუებული, მაგრამ მაინც გარემოებას დაუმორჩილებელი ადამიანის ცხოვრების დრამა?.. საგულისხმოა და ძალიან ემოციური ქალბატონ სოფიოს ქალიშვილის ნანა ბერაძის ე. წ. ბოლოსიტყვაობა, შვილის თვალით დანახული დედის სილუეტი, წარსული, რომელიც მუდამ თან ახლავს, მშობლიურ გარემოში მოქცეული უახლოესი ადამიანების სახელები და სახეები... ამგვარი დამოკიდებულებანი აქტუალურია სწორედ დღეს, როცა მთელ მსოფლიოში თანდათან დაუცველი ხდება ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტი, რასაც მშობლების და შვილების ურთიერთობასაც რაღაც გარეშე ფაქტორები წარმართავენ.

შემაშფოთებელია ის სტატისტიკა, როცა ევროპული ოჯახების შინაგან, გაუგებარ ცვლილებებს თავად ევროპელი საზოგადოების დიდი ნაწილი მტკივნეულად განიხილავს; როცა ვთქვათ, შვედეთში, წარსულს ბარდება ადამიანის დაკრძალვის ცერემონია; როცა კრემატორიუმებში გარდაცვლილთა დაფერფლილ ურნებს ნათესავები და ახლობლები არც აკითხავენ... ამ ტოტალური გაუცხოების ეპოქაში, დედის, ბებიის და საერთოდ, საკუთარი დიდი ოჯახის ზნეობრივი მაგალითების მოხმობა, ალბათ, გენეტიკური მომავლის გადარჩენისთვის ზრუნვაცაა.

როგორც ამბობენ, მემუარისტიკა დღეს ყველაზე კითხვადი ჟანრია მსოფლიოში. ჩვენი დროის ზედმეტად აჩქარებულ რიტმში დოკუმენტალიზმის მეტი მოთხოვნილებაა, ვიდრე მხატვრული სიტყვის.

არავინ იცის, რა მოხდება ხვალ... როგორია მომავლის მკითხველი, მაგრამ ალბათ, ყოველთვის საინტერესო იქნება, ნებისმიერ ჟანრში გადმოცემული, რიგითი ადამიანის ბიოგრაფია, მისივე ეპოქის ფონზე, რომელიც იბრძვის საკუთარი პიროვნულობის გადარჩენისთვის.

ნინო ხოფერია.

5 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში სოფიო მორჩილაძის მოგონებების რვეულის პრეზენტაცია გაიმართა, სათაურით: „სოფიო-ცხოვრების დაუმთავრებელი წიგნი.“ეს გახლდათ განწყობილებიანი,თბილი საღამო, ნოსტალგიური ნოტებით.საღამო მიჰყავდათ ქალბატონ სოფიოს ქალიშვილს ნანა ბერაძეს და წიგნის რედაქტორს მანანა თევზაძეს. მონაწილეობდნენ ქალბატონ სოფიოს თაყვანისმცემლები, კოლეგები, ახლობლები: გურამ ბათიაშვილი, ნანა გიორგაძე, მანანა ნოდია,მარიკა გელეიშვილი, კოტე მიქაძე და სხვები... მოგონებათა ფრაგმენტებს კითხულობდნენ მსახიობები დარეჯან ხარშილაძე, თამუნა ადამია და მაკა შალიკაშვილი.

გავყვეთ მოგონებათა ქარგას:

* * *

1936 წელს ეკონომიურად ღარიბი დრო იყო, სტუდქალაქში ღარიბული სასადილო მუშაობდა, ამიტომ მე და ჩემი ძმა – მიშა სოფლიდან წამოღებულ პროდუქტებს ძალიან ეკონომიურად ვხარჯავდით. ორივე ფრიადოსანი სტუდენტები ვიყავით... მესამე კურსის სტუდენტი რომ გავხდი, ჩემი სურათი უნივერსიტეტის მეორე სართულზე, პროფესორ-მასწავლებლებისა და წარჩინებული სტუდენტების დაფაზე იყო გამოკრული. წარჩინებულებს პარტიაში მიღებისთვის გვამზადებდნენ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლავრენტი ბერია იყო. იგი უნდა შეგვხვედროდა.

*შეხვედრა ცენტრალური კომიტეტის სააქტო დარბაზში მოეწყო. ყველა უმაღლესი სასწავლებლის აქტიურმა, სწავლაში გამორჩეულმა კომკავშირელმა აქ მოიყარა თავი. ახლაც მახსოვს ბერიას შემოსვლა პრეზიდიუმში. სათვალის ქვეშ მოჭუტული თვალებით გვზვერავდა ყველას. სიტყვაში გამოსვლისას განსაკუთრებული ყურადღება სწავლის ხარისხს მიაქცია. სწორედ აქ თქვა შემდეგში გავრცელებული მოწოდება: **„ფრიადზე სწავლა, ამ ეტაპზე, მოსწავლის გმირობაა!..“** ეს გამონათქვამი აიტაცეს და შემდეგ ყველა სასწავლო დაწესებულების შესასვლელ დარბაზში ან დერეფანსა და თავშეყრის ადგილებში მოწოდებად იყო გამოკრული.*

იმ დღეს, სტუდენტების სახელით, სამედიცინო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი ვარდო მაქსიმელიშვილი გამოვიდა სიტყვით. მეტად მომხიბლავი გარეგნობის ნიჭიერი გოგონა, წარმოშობით ოზურგეთიდან იყო და კარგად ვიცნობდი, ვმეგობრობდით კიდეც. მაგრამ გამოსვლა საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. ბერიას ჩვენი ვარდო მოეწონა. მეორე თუ მესამე დღეს თავისთან გამოიძახა, თანაშემწედ მუშაობა შესთავაზა. ვარდო ამას არ ელოდა. ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო, ავლაბარში დასთან ცხოვრობდა, რომლის მეუღლეც შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკი იყო, მაგრამ სახეირო საცხოვრებელი არ ჰქონდათ, ნახევრად სარდაფულ ბინაში ცხოვრობდნენ. ბერია ბინის პირობების გაუმჯობესებას დაპირდა... ვარდო მაშინვე ვერ დაეთანხმა, მაგრამ მეორე დღეს მდივანმა ისევ დაიბარა და ბინის გასაღები მისცა...

ვარდოს დედა არ ჰყავდა, ოთხი გოგონა მამამ გაზარდა. ამ დროისთვის ყველა მათგანი ცხოვრების გარკვეულ გზას ადგა, უმცროსი თინა კი უნივერსიტეტში სწავლობდა.

ვარდოს ინსტიტუტის დატოვება გაუჭირდა, შეყვარებულიც ჰყავდა... ასეთი საკითხის გადაწყვეტა ერთბაშად ადვილი არ იყო...

მესამე თუ მეოთხე დღეს ბერიამ მანქანა გაუგზავნა... რაღა ძალა ჰქონდა ვარდოს, დაეთანხმა...

იმ დღეს, ჩემთან კომკავშირის კომიტეტში (მე მაშინ უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტში ვმუშაობდი), ვარდოს და თინა მოვიდა და გაყოლა მთხოვა. ეზოში ბერიას მანქანა გველოდა. მანქანაში ვარდო იჯდა. წავედით ბინის სანახავად, რომელიც მწერალთა კავშირის სახლის წინ, მაჩაბლის ქუჩაზე, მეორე სართულზე მდებარეობდა. გავაღეთ კარი და სამოთახიანი, ყველაფრით სავსე, ნათელი ბინა ვნახეთ... გადახდილი როიალი მაცდურად იზიდავდა მნახველს... თვალის მომჭრელი სიმდიდრე, სუფრა გაშლილი... გეგონებოდათ, მასპინძელი ახლახანს გავიდა და უკან დაბრუდებაო... ღარიბი სტუდენტები ვიყავით, მომავლის გათვალისწინების დროც არ იყო... ვარდო თავის დასთან და სიძესთან ერთად იმ ბინაში დაბინავდა...

* * *

მე უბედურს მართლა მწამდა კომუნისტური პარტიის...

უნდა მომეთმინა?..

... ჩემი ძმა კარლო უდანაშაულოდ დააპატიმრეს... აწამეს, წამებით მოკლეს, მკვდარსაც არ მაძლევენ...

ისევ დავბრუნდი ორიოლში. ისევ შევხვდი ციხის უფროსს.

– ბერიამ დამირეკა... საიმედოს ვერაფერს გეტყვით, საფლავიც არ ანახოო, თუმცა საფლავში ერთი ხომ არ წევს... კარგია, რომ არ გითქვამს, ჩემთან რომ იყავი!..

გამოვემშვიდობე და იმავე დღეს მოსკოვის მატარებლით წამოვედი თბილისში. ხუთი დღე ვიყავი გზაში, მაშინ მატარებლები იგვიანებდნენ. დეპეშა გამოვგზავნე თბილისში. ამხანაგები მატარებელზე შემხვდნენ. თურმე ისე გამოვიცვალე, ძნელი საცნობი გავხდი... სახლში ამიყვანეს, შავი სამოსელი დამახვედრეს, კარლოს სურათიც გაედიდებინათ. იმავე საღამოს, 30 აპრილს მატარებლით წავედით სოფელში – ძიმითში.

ისევ ღამე, აუტანელი, საშინელი, ჩემი განცდები უსასრულოა... ამხანაგები ჩემთან არიან.

დილით შევნიშნე, რომ ამხანაგებს ყვავილები წამოეღოთ თბილისიდან...

– რად უნდათ?.. სად მიაქვთ?.. ჩემს უბედურ ძმას ხომ საფლავიც არ აქვს?..

მეორე დღეს პანაშვიდი იყო დანიშნული.

მთელი ღამე შრომობდნენ ახლობლები, ემზადებოდნენ.

– ღმერთო ჩემო, რამდენი შეუძლია ამ ათასნაირად გაჭირვებულ ჩემს მშობლებს. ყველას ყურადღებას აქცევენ, პატივცემას არ აკლებენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ დილით, ძალიან ადრე, ალიონს რომ ეძახიან, დედაჩემის ხმა შემომესმა, ყველას გეხვეწებით, ჩუმათ აკეთეთ საქმე, სტუმრებს სძინავთ, დაღლილები არიან, უხერხულია მათი გაღვიძება... დაე, დაისვენონო!..

უბედური დედა, ამ სასოწარკვეთილების დროსაც არ ავიწყდებოდა სტუმრების პატივისცემა. ყველას ყურადღებას აქცევდა. ჩვენს დროში ალბათ იშვიათად ნახავთ ასეთ ნებისყოფიან ადამიანებს... ნამდვილ ქართველს, სტუმართმოყვარეს, ჭირის მომთმენს...

მესამე დღეს გამოვეთხოვე მშობლებს, ძმას, მეზობლებს და ამხანაგებთან ერთად თბილისში დავბრუნდი.

დაიწყო ზამთარი... ცივი, სუსხიანი...

სახლიდან სკოლამდე დიდი გზაა. შეუმჩნევლად გავდიოდი სახლიდან და ჩუმადვე ვბრუნდებოდი უკან. ვკითხულობდი კარლოს ციხიდან გამოგზავნილ წერილებს. მისი ადრეული წერილებიც მქონდა... ძალიან სათუთად ვინახავდი მაშინ და ასევე ვინახავ ახლაც, ჩემი სიბერის ასაკშიც. ვკითხულობ და თითოეულ სიტყვას, ასოსაც კი ვეფერები. ისინი ხომ ჩემი საყვარელი ძმის ხელითაა დაწერილი.

ოთახში სურათები მქონდა გამოფენილი. მისი ვაჟკაცური სახე, გამომეტყველება, საქმიანი და მოსიყვარულე თვალები, შავი ტეხილი თმა. მოკლედ შეკრეჭილი (ბლანჟე) წვერი... ვუყურებ მის მრავლისმეტყველ სურათებს და ვფიქრობ, ალბათ გრძნობდა თავის მომავალ უბედურებას... სიცოცხლეზე შეყვარებული, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, უანგაროდ მშრომელი, წიგნის მოყვარული... სადოქტორო შრომა დაწერილი ჰქონდა, არ დასცალდა მისი დაცვა.

– ნიჭიერი ქართველია!.. – ამბობდნენ მისი თანამშრომლები. გაქრა... წავიდა ნაწამები, უსამართლოდ დასჯილი... რა ძნელია ამის ატანა...

კარლოს რუსი მეუღლე ისევ მოსკოვშია; გული მტკივა, როცა ვიგონებ, რომ ვალიამ არც კი ინდომა სოფელში ჩამოსვლა, უბედური დედ-მამის ნახვა. აი, რას ნიშნავს ერის ფსიქოლოგიური სხვადასხვაობა. ის რომ ქართველი ყოფილიყო, ქმრის საპატივცემულოდ მაინც ჩამოვიდოდა დედ-მამასთან... სოფელში, სადაც სამი წელი გაატარა... მაგრამ ასე არ მოხდა.

– ბავშვი?.. ერთადერთი მემკვიდრე ჩემი ძმისა, რომელიც სამი წელი ჩვენს ოჯახში იზრდებოდა, ალბათ გაუცხოვდა, ქართულსაც დაივიწყებს. ის ქალიც გათხოვდება და დაიკარგება ჩემი ძმის სახელი... უნდა რაღაც ვიღონონ...

პატარა ამანათების გაგზავნას მაინც ვახერხებდი, რომელშიაც ქართულ ხილს ჩავალაგებდი ხოლმე.

ჩემს მეზობლად სამინისტროს მუშაკი მაიდოშვილი ცხოვრობდა, რომელიც ხშირად მიდიოდა მოსკოვში მივლინებაში. ამანათებს მას ვატანდი.

მახსოვს მეხუთე ამანათი რომ გავამზადე, ჩემთან მოვიდა და მითხრა,

– ნუ გზავნით ამანათებსო...

გამიკვირდა, – რატომ?

– ვალია გათხოვდა და თქვენს დახმარებას არ საჭიროებსო...

გავქვავდი, ხმაც ვერ ამოვიღე. მხოლოდ ავტირდი, ავტირდი ხმამაღლა... ყოველმხრივ უბედური აღმოჩნდა ჩემი ძმა. რა იქნებოდა ერთხელ მაინც ჩამოსულიყო, ბავშვი ენახვებინა ჩვენთვის. ერთი წელიც კი არ უგლოვია ქმარი. მაშინვე სხვა ეძია. ბავშვი?.. საყვედურებით სავსე წერილი მივწერე, ვთხოვდი, ბავშვი არ დაეკარგა ჩვენთვის სამუდამოდ... პასუხი არ მიმიღია...

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რითი შეაშინა ქართულმა ბიოლაბორატორიამ ონიშჩენკო?

ბიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც თბილისში „ლუგარის ლაბორატორიას“ უწოდებენ, კვლავ კრიტიკის ნაკადს იწვევს რუსეთიდან.

ამ დღეებში რუსეთის სანიტარიული სამსახურის უფროსმა გენადი ონიშჩენკომ მას კვლავ „სამხედრო ობიექტი“ უწოდა, რომელიც მოითხოვს „ნეგატიურ და მკაცრ“ შეფასებას რუსეთის ხელისუფლების მხრიდან.

ოდნავ ადრე გენადი ონიშჩენკომ იეჭვიანა, რომ სწორედ ამ ლაბორატორიიდან, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური მხარდაჭერით აშენდა, შემოდის რუსეთში პირუტყვის სხვადასხვა ინფექციებიო, მათ შორის აფრიკული შავი ჭირი, რომელიც ღორებს აზიანებს.

რუსეთის მთავარმა სანიტარმა ამ ლაბორატორიას „სერიოზული დაბრკოლება“ უწოდა რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენის გზაზე, რომლებიც ეს-ესაა შევიდნენ დათბობის ფაზაში.

მართალია, საქართველოში ასეთ ბრალდებებს უკვე შეეჩვივნენ მაგრამ ეს უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. ქართველმა ჩინოვნიკებმა უარყვეს ყველა ბრალდება და განაცხადეს, რომ ლაბორატორია „გამჭვირვალე რეჟიმში“ მუშაობს და აწარმოებს მხოლოდ სამეცნიერო კვლევებს.

„აქ არანაირ იარაღს არ აწარმოებენ, არც ქიმიურს, არც ბიოლოგიურს“,— განაცხადა დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ. სწორედ ეს ცენტრი მართავს ლაბორატორიას.

ბიბისის რუსეთის სამსახურთან საუბარში გამყრელიძემ დაადასტურა, რომ ლაბორატორია მართლაც ამერიკის მხარემ დააფინანსა, მისმა პერსონალმა კი სწავლება გაიარა, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის სიტყვებით, ლაბორატორია — ეს არის იმ დიდი პროექტის ნაწილი, რომელიც შემოგვთავაზა ამერიკის მხარემ ჯერ კიდევ 2000 წლების დასაწყისში. ერთ-ერთი მისი ინიციატორი ამერიკელი სენატორი-რესპუბლიკელი რიჩარდ ლუგარი იყო.

შედეგად რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიური მშენებლობის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა 22 ბიოლოგიური ლაბორატორია, მათ შორის, დიდი ცენტრები ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში. ყველა მათგანი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების კონტროლისა და მართვის ქვეშაა.

„ბატონო გენადი, გვეწვიეთ!“

ამ ლაბორატორიების მთავარი მიზანია რეგიონებისთვის დამახასიათებელი ბაქტერიების, ვირუსებისა და მიკროორგანიზმების შეკრება და შესწავლა, აგრეთვე ინფექციების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ადამიანებში, ისე ცხოველთა შორისაც.

მთელი პროგრამა, მათ შორის, „ლუგარის ლაბორატორიის“ მშენებლობაც ამერიკის მხარეს 300 მილიონი დოლარი დაუჯდა. მისი აშენებით ისეთი სახიფათო ბაქტერიების ნიმუშები, როგორებიცაა შავი ჭირისა და ქოლერის გამომწვევები, საბჭოთა პერიოდიდან ათობით წლის განმავლობაში ინახებოდა საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, მოთავსებული იყო სპეციალურ საცავებში უსაფრთხოების უმკაცრესი ზომებით.

„ლუგარის ლაბორატორიას“ აქვს ბიოუსაფრთხოების მესამე დონე. ასეთი დონის ლაბორატორიები საერთოდ არ არის მთელ კავკასიურ რეგიონში“, — აღნიშნავს ამირან გამყრელიძე.

მისი სიტყვებით, 2013 წლის მაისიდან, როგორც ამერიკა-საქართველოს შეთანხმებით იყო გათვალისწინებული, ლაბორატორია გადავიდა ქართული მხარის მართვაში. თანდათან შემცირდა ამერიკის შეერთებული შტატების როლიც მის დაფინანსებაში.

როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა განაცხადა, ამჟამად საუბარია წელიწადში 3-5 მილიონ დოლარზე, რომლებსაც იყენებენ ლაბორატორიული აღჭურვილობის შრომისუნარიანობის შენარჩუნებისთვის.

2015 წლისთვის ყველა საფინანსო ვალდებულება გადავა ქართულ მხარეზე, წავლენ ჯერჯერობით აქ დარჩენილი ამერიკელი ინჟინრები და ტექნიკოსები.

ამირან გამყრელიძე ამტკიცებს, რომ მას არაფერი აქვს დასამალი გენადი ონიშჩენკოსგან: „გენადი გრიგორის ძე და მე პირადად ვიცნობთ ერთმანეთს, შევხვედრივარ მოსკოვში. ვფიქრობ, მას შესანიშნავად ესმის, თუ ჩვენ აქ სინამდვილეში რას ვაკეთებთ“.

„მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კვლავ გავიმეორებ მოწვევას — დათვალიეროს ეს ლაბორატორია. ბატონო გენადი, გვეწვიეთ, დარწმუნდით, რომ ჩვენ იქ არანაირ იარაღს არ ვაწარმოებთ, შემდეგ კი დავსხდეთ, დავლიოთ ქართული ღვინო“, — ამბობს გამყრელიძე.

თავად ონიშჩენკო, სხვათა შორის, რომელიც ცნობილია იმით, რომ არ უყვარს სასმელი, არც ერთ ამ წინადადებას არ გამოხმაურებია. სამაგიეროდ, თბილისში „ლუგარის ლაბორატორიის“ დათვალიერება შეძლო ბიბისის რუსეთის სამსახურის კორესპონდენტმა.

საბაბი ახალი ემბარგოსთვის?

უსაფრთხოების ზომები მართლაც მკაცრია — ლაბორატორიის დათვალიერება, ლითონდეტექტორი, მოწმობებისა და საშვების ორმაგი კონტროლი. თუმცა, ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები, რომლებიც თითქოსდა იცავენ ამ ბაზას, როგორც ამას რუსეთის ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში წერენ, არ ჩანან.

ბიოლოგიური უშიშროების სამსახურის ოფიცრის თ. ბაქრაძის სიტყვებით, ლაბორატორია მთლიანად არის იზოლირებული გარე სამყაროსგან.

რომ შეაღწიო ლაბორატორიაში, უნდა გქონდეს შესაბამისი საშვი, იცოდე კოდები, ბოლოს კი გაიაროთვალის ბადურის სკანირებაც. ასევე ძნელია აქედან ვინმეს ან რაიმეს გარეთ გასვლა.

„ჰაერი, წყალი, მასალები, ნარჩენები — არაფერს შეუძლია დატოვოს ეს შენობა სტერილიზაციამდე. უშიშროების სისტემები ავტომატურია, რაიმე სახიფათო მასალის გავრცელება გამორიცხულია“, — ამბობს ოფიცერი.

ცენტრის თანამშრომელთა სიტყვებით, აქ ეწყობა გამოკვლევები სხვადასხვა პროექტების მიხედვით, მათ შორის, უცხოელი სპეციალისტების მოწვევითაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროპიდან. აქ სწავლობენ პათოგენურ მიკროორგანიზმებს, რომლებიც რეგიონშია გავრცელებული, გამოყოფენ მათ გენებს.

თ. ბაქრაძის სიტყვებით, ბრალდება ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის დამზადებასა და წარმოებასთან დაკავშირებით უბრალოდ უგუნურებაა.

„ასეთი რამის წარმოებისთვის აუცილებელია სპეციალური მოწყობილობა, რომელიც შეიძლება შეიძინო მხოლოდ რუსეთში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი გაყიდვა მკაცრი კონტროლის ქვეშაა. ჩვენი ცენტრი ასრულებს სრულიად სხვა ამოცანებს — ბიოლოგიურსა და სამედიცინოს. აქ ყველაფერი გამჭვირვალეა. მუდმივად ჩამოდიან სხვადასხვა დელეგაციები, მათ შორის, ჟურნალისტებიც. არანაირი მიწისქვეშა სართულები აქ არ არის — ცენტრის ქვეშ არის უზარმაზარი ბეტონის კუბი, რომელიც უზრუნველყოფს ლაბორატორიის სეისმომდგრადობას“, — განმარტავს ბაქრაძე.

მისი სიტყვებით, ცენტრში იყვნენ რუსი მეცნიერებიც, რომლებმაც გამოთქვეს დაინტერესება ერთობლივ პროექტებთან დაკავშირებით.

ამავე დროს ქართველ ანალიტიკოსებს ეშინიათ, რომ „ლუგარის ლაბორატორია“ მართლაც შეიძლება იქნეს გამოყენებული საბაბად ქართულ პროდუქციაზე ახალი ემბარგოსთვის.

საინტერესოა, რომ გენადი ონიშჩენკოს განცხადებებმა მკაცრი ხასიათი მიიღეს რუსეთის სანიტარული ჩინოვნიკების მორიგი ვიზიტის წინ, რომლებიც ამოწმებენ ქართული კვების იმ პროდუქტების ხარისხს, რომლებიც მიეწოდებათ რუსეთის ბაზარს.

მიმდინარე წელს ექვსწლიანი შესვენების შემდეგ რუსეთის ბაზარზე დაბრუნდა საქართველოს ალკოჰოლური პროდუქცია, მათ შორის, ღვინოც, აგრეთვე მინერალური წყლები და ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

BBC RUSSIAN.com

დედამიწის ზურგზე

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტი: პუტინი და მისი კოლეგები გაერთიანდნენ სირიის საკითხში, დაიცვეს ირანი და გააკრიტიკეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა

„შანხაის ექვსეულის“ ლიდერების (რუსეთი, ყაზახეთი, ჩინეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი) შეხვედრის ერთ-ერთი ცენტრალური თემა, როგორც ელოდებოდნენ, გახდა სირიასთან დაკავშირებული სიტუაცია. დღის წესრიგის სხვა პუნქტებთან ერთად არის ორგანიზაციის პერსპექტივების განხილვა და რეგიონალური უშიშროების საკითხები ავღანეთიდან ჯარების მომავალ გამოყვანასთან დაკავშირებით.

* * *

თალიბებმა ავღანეთში აშშ საკონსულო აფეთქეს: დაიღუპა სამი კაცი

ასაფეთქებელი ნივთიერებებით დამუხტული ავტომობილი ავარდა ჰაერში ქალაქ ჰერატში ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური უწყების საპარადო შესასვლელის კარებთან ქვეყნის დასავლეთში. ამის შემდეგ უშიშროების ძალებსა და თალიბებს შორის, რომლებმაც იკისრეს პასუხისმგებლობა შეტევისთვის, მოხდა ურთიერთსროლები. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პრესმდივანმა ქაბულში თავდასხმა დაახასიათა, როგორც „კომპლექსური“.

* * *

2013 წლის შნოგელის პრემიები: აღინიშნა ნეხვის ხოჭოების ნავიგაციის გამოკვლევა და ლუკაშენკოს პოლიტიკა

წელს ჯილდოები, კერძოდ, მიიღეს თვითმფრინავების ხელში ჩამგდებთა ავტომატური დაჭერის მეთოდის, მთვარეზე წყალზე შესაძლო სიარულის გამოკვლევის, მიწის სათხრელების გადახარშვის პროცესის შესწავლის ავტორებმა. სხვა ლაურეატებს შორის აღმოჩნდა რუსი მეცნიერიც.

* * *

ვაშინგტონმა პუტინის სტატია „ნიუ-იორკ ტაიმში“ აღიძვა წყენითა და გაურკვევლობით

ასეთი დასკვნა გააკეთა იტარ-ტასის კორესპონდენტმა, რომელიც იმყოფებოდა თეთრ სახლში ბრიფინგზე. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესმდივანმა არასერიოზული უწოდა შეკითხვას იმის შესახებ, მიაჩნია თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს თავისი თავი ვალდებულად დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ: ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ ᲗᲣ ᲛᲢᲔᲠᲘ?

(ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

— აგენტები იყვნენ?

— თანამშრომლობდა, ვთქვათ ასე. ზოგი სანდო პირი იყო, ზოგი — აგენტი, მათგან უმეტესობას თქვენ იცნობთ, რადგან ჩემი თაობა მათ მოღვაწეობას მოესწრო, ზოგიც — გაგებული გყავთ... თითქმის ყველა!

მერწმუნეთ, რომ ასე იყო. ყველას საქმე ნანახი მაქვს.

— ასეთი აგენტები თუ ჰყავს აშშ სპეცსამსახურებს საქართველოში?

— რა თქმა უნდა, ჰყავს.

— ჩვენ თუ გვყავს ამერიკაში?

— (ეცინება). გიმეორებთ, არ შეიძლება სახელმწიფომ იარსებოს და არ იცოდეს, რა ხდება მის მეზობელ ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის დროს იმავე აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, ევროპის სხვა ქვეყნებშიც, აზიაშიც ყველგან გვყავდა აგენტები.

ერთ მნიშვნელოვან ფაქტს გაგახსენებთ. იყო ასეთი ხელმძღვანელი თანამშრომელი ცენტრალურ-სადაზვერვო სამმართველოში (ცსს), რომელიც აშშ-ში დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს ჯაშუშოებისთვის რუსეთის სასარგებლოდ. ეს კაცი იმ სტრუქტურაში შემავალი ერთ-ერთი დიდი სამმართველოს უფროსი იყო, რომელიც განაგებდა საბჭოთა კავშირში ჩანერგილ აგენტურულ ქსელს. ეიმსი გადმობირებული ჰყავდა საბჭოთა დაზვერვას და სწორედ მისგან იცოდა ჩვენმა კონტრდაზვერვამ, რომელი ამერიკელი აგენტი სად მუშაობდა, პერსონალურად ყველა, დაახლოებით 20-25 კაცი.

ყველაზე ცუდი, რაც ამ შემთხვევაში რუსებმა გაიკეთეს, იყო ის, რომ ყველა გაშიფრული აგენტი დახვრიტეს, ნაცვლად იმისა, რომ გადმოებირებინათ და მათი დახმარებით დიდი ოპერატიული თამაში წარემართათ.

— ორმაგი აგენტობა?

— დიახ. ამ დახვრეტებს ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვნენ ამერიკელები და ეიმსზე გავიდნენ.

აი, ეს ეიმსი ჩამოსული იყო თბილისში, შეხვდა შევარდნაძეს და ორი თუ სამი საათის განმავლობაში საუბრობდნენ. ბატონი გელა ჩარკვიანი თარჯიმნობდა.

რაზე ისაუბრეს არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვივარაუდო, რომ რაც შევარდნაძემ უთხრა, ეიმსმა ყველაფერი წვრილად ჩაუკაკლა რუსებს.

— რას ეფუძნება თქვენი ვარაუდი?

— დამიგდეთ ყური. ეიმსმა ედუარდ შევარდნაძეს ნალაპარაკევი რუსეთს მოახსენა. რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა, არც აცია არც აცხელა, დაურეკა შევარდნაძეს და მათ შორის ფრიად არასასიამოვნო საუბარი გაიმართა... შევარდნაძე, როგორც ჩანს, დაფიქრდა, როგორ და საიდან გაჟონა ინფორმაციამ. საუბარი პირისპირ შედგა. გელა ჩარკვიანი ამბის გამტანი არ იყო. არც არავინ დაუჯერებდა. მაშ, რა მოხდა? შევარდნაძემ თავისთან მიიწვია უორდროპი, რომელიც საქართველოში აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ იყო მოვლინებული და აუხსნა სიტუაცია. ამ კაცმა თავის უფროსებს მოახსენა მომხდარის შესახებ. (უორდროპი შემდეგ საქართველოში მოკლეს — **ა. ს.**).

გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ინფორმაცია, შესაძლებელია, ეიმსის გატანილი იყო. როგორც ჩანს, ამერიკელებს სხვა საფუძველიც ჰქონდათ, ასე რომ ეფიქრათ. ვერ დავიჩემებ, მაგრამ ფაქტია, რომ მათ დაიწყეს ამ ვერსიის შემოწმება და დაადასტურეს კიდეც. დააპატიმრეს ეიმსი და მიუსაჯეს, რაც ეკუთვნოდა.

— ამერიკის სპეცსამსახურის ერთ-ერთი საკვანძო დანაყოფის ხელმძღვანელი რუსეთის დაზვერვის გადაბირებული აგენტი იყო?

— გითხრათ, ვინ გადაიბირა?

— დიახ.

— გადაიბირა ჩემმა კარგმა ნაცნობმა ვიქტორ ჩერკაშინმა. რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთ გადაცემაში ვხედავ, ეკრანზე გამოჩნდა ვიქტორი, ზამთარია, თბილად აცვია და ამ კადრს მიღმა ისმის წამყვანის კომენტარი: ეს კაცია, ვინც ეიმსი გადმოიბირა. არაჩვეულებრივი კაცია, ნამდვილი პროფესიონალი, განათლებული.

— ცოცხალია?

— ცოცხალია. 80 წლისაა.

— თქვენ არ გიპასუხიათ, გვყავს თუ არა აგენტი ამერიკაში?

— არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ ჩვენი დაზვერვის სამსახური, რომელსაც აგენტები უნდა ყავდეს, ძალიან ცუდ დღეშია. პრაქტიკულად, ვერ ასრულებს იმ საქმეს, რომელიც აკისრია. დაზვერვა ძვირადღირებული სიამონვნებაა, მაგრამ, თუ საქმეს სწორად წაიყვან, დანახარჯი ათჯერ მეტ მოგებას მოიტანს. შეიძლება მხოლოდ ერთმა ინფორმაციამ გადაფაროს ყველა ხარჯი. სამწუხაროა, რომ მისი დაფინანსება ისე არ ხდება, როგორც საჭიროება მოითხოვს: ყველა მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს.

მინდა, რომ მკითხველებმა ერთ პრინციპულ გარემოებას მიაქცონ ყურადღება. თუ უწინ გადმობირება იდეურ-პოლიტიკურ საფუძველზე ხდებოდა, დღეს მხოლოდ ფინანსური საფუძველი დარჩა. ფული კი არ არის — ოპერატიულ-სახარჯო სახსრები არ არსებობს. არადა, გადმოსაბირებელს ისე ურიგდები, როგორც ნებისმიერ ბიზნესში.

— ე. ი. ფული — ინფორმაცია, ინფორმაცია — ფული.

— დიახ, დიახ, როგორც მარქსის ფორმულაა: ფული — საქონელი — ფული.

— სააკაშვილის მმართველობის პერიოდში უშიშროებაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციებიც, სასაზღვრო სამსახურიც ერთი კაცის ხელში იყო მოქცეული, დიდად და მრავალმხრივ საინტერესო „ჩიტი ზის გალიაში“ ვანო მერაბიშვილის სახით. ჩვენი მართლმსაჯულება კი მხოლოდ დარბევებზე ლაპარაკობს, და რაღაც სახლზე, რომელიც უკანონოდ ჩაიგდო ხელში.

— დარღვევები მხოლოდ ერთი მხარეა. ჩემი აზრით, მთავარი ის არის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში (რომლის შემადგენლობაში შედიოდა უშიშროება) რასაც აკეთებდნენ, ეს იყო მინიჭებული უფლებების წარმოუდგენელი გადამეტებით გამოყენება. სამინისტროს ხელმძღვანელობა თავს უფლებას აძლევდა ემოქმედა ისე, რასაც არც კანონმდებლობა, არც კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. ეს არის მთავარი, ეს არის უდიდესი დანაშაული ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მეეჭვება, რომ ის, რასაც ეს სახელმწიფო სტრუქტურა აკეთებდა, სახელმწიფო ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა, ამის შენდობა და პატიება შეუძლებელია.

საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა ხორცის საკეპ მანქანაში, არნახულ წნეხში გაატარეს 350 ათასი ჩვენი თანამოქალაქე. ამათგან თითოეულს 5 მაინც ეყოლებოდა ოჯახის წევრი, ახლობელი, ჭირისუფალი. გაამრავლეთ ეს რიცხვები ერთი მეორეზე და მინიმუმ 2 მილიონამდე ავალთ. ხომ გამოდის ნახევარი საქართველო?

— გამოდის.

— ნახევარი საქართველო დედას რომ გაგინებს, გამწარებული რომ გყავს, როგორ უნდა მართო ასეთი ქვეყანა?

— დიქტატურის უკიდურესი ფორმით „ქანჩების მოჭერით“, დაშანტაჟებით, საყოველთაო შიშის დანერგვით, პოლიციური სახელმწიფოს შექმნით.

— სადღაა ამ ჩამონათვალში დემოკრატია? დემოკრატიისთვის, ადამიანის უფლებების დაცვისთვის აქ თეორიულადაც არ რჩება ადგილი. ამიტომ ყოფილი ხელისუფლების დანაშაული ცალკეული უკანონო შემთხვევები კი არ არის, არამედ სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

— და ხალხი ამიტომაა გამწარებული, გინდათ თქვათ? სათანადოდ რომ არ მიეზღოთ?

— დიახ ასეა, ბრმა უნდა იყო, ყოველ შემთხვევაში, უკიდურესად ტენდენციური, ვერ შეამჩნიო, როგორ იცვლება ატმოსფერო, როგორ იწმინდება ურთიერთობა ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

— მაგრამ ხალხში რომ ამკვიდრებენ აზრს პროკურატურის სისუსტის შესახებ?

— არაფერი სუსტი არ არის პროკურატურა. კბილაშვილი, ვთქვათ, კალაძისგან განსხვავებით, საქართველოში, როგორც ახლა ამბობენ, ნაკლებად ცნობადი პიროვნება იყო. მას მოკლე პერიოდში თავიც უნდა დაემკვიდრებინა ახალ, მასშტაბურ სივრცეში და ამასთან მორეოდა იმ სიბინძურეს, რომელიც დაგროვილი იყო სააკაშვილ-ადეიშვილის ავგიას თავლებში, თანაც ეს უნდა გაეკეთებინა კანონის სკრუპულოზური დაცვით. მე რომ მკითხოთ, ამის გაკეთება გაცილებით ძნელი საქმეა, ვიდრე ჰერკულესის გმირობა.

მაგრამ მაინც ვურჩევდი ამ ახალგაზრდა კაცს, ქვეყნის მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს, მეტი სიმკაცრის გამოჩენას, მეტ ოპერატიულობასა და პრინციპულობას კადრების საქმეში.

მთავარი პროკურორის უნდა ეშინოდეთ, კალაძე კი შეიძლება უყვარდეთ. ეს ორი განსხვავებული სფეროა განსხვავებული ემოციური დამოკიდებულების გამოსახატავად.

— საპარლამენტო უმრავლესობაც რომ მის შეცდომებზე ალაპარაკდა? გაილაღეს „ნაციონალებმაც“!..

— ჰოდა, პროკურორი ისეთი უნდა იყო, რომ ასეთი რამ ვერ გაუბედონ! ისეთი ორგანოები, როგორებიცაა უშიშროება, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა ხელის თავზე გადასმითა და ენის მოჩლექით ვერ მოეპყრობა, ვერ დაელაპარაკება დამნაშავეებს. გამორიცხულია! სიმკაცრე სადამსჯელო ორგანოების საქმიანობის აუცილებელი შემადგენელია! დანაშაულს არ გაპატიებენ, ამას ყველა უნდა გრძნობდეს. მას არაფერი საერთო არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს „კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტთან“. სიმკაცრე და სამართლიანობა!

— რაც თქვით, მარტო პროკურატურაზე ვრცელდება?

— შინაგან საქმეთა სამინისტროზეც, რა თქმა უნდა.

— მინისტრის, ბატონ ღარიბაშვილის გამოსვლებით თუ ვიმსჯელებთ, მკაცრი ჩანს. თავისი პირველი მოადგილის გათავისუფლება და პასუხისგებაში მიცემაც არ ჰგავს თავზე ხელის გადასმას.

— ჯერ ცოტა დროა გასული დაბეჯითებითი პასუხის გასაცემად: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“.

ესაუბრა
ᲐᲠᲜᲐᲖ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ

◎ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘᲐ...

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის მკითხველი 7 სექტემბრის ნომრით გაეცნო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმოწერილ ვრცელ პუბლიკაციას „ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲙᲣᲞᲠᲐᲫᲔ — ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ“, მიძღვნილს აკადემიკოს ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲙᲣᲞᲠᲐᲫᲔᲡ დაბადებიდან 110 წლისთავისადმი. დიახ, ბატონი ვიქტორი ის გამოჩენილი ერისკაცი ბრძანდებოდა, ვისაც არც ერთი მრგვალი თარიღი არ უნდა გამოუტოვო...

ამ იუბილეს დაუკავშირდა ქვეყნის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და მათემატიკოსთა კავშირის ეგიდით გამართული შეკრება აკადემიის სხდომათა დარბაზში. აქ მოვიდნენ ვიქტორ კუპრაძის დაუვიწყარი, უჭკნობი სახელის პატივისმცემლები — მათემატიკოსები, ფიზიკოსები, სხვა მეცნიერები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათემატიკოსთა კავშირის ყოველწლიურ კონფერენციაზე (ამჯერად საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილზე) ჩამოსული უცხოელი სტუმრები, ბატონი ვიქტორის შთამომავლები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა და შეკრებილთ მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე.** მისალმებებით გამოვიდნენ აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, პროფესორი **თამაზ მარსაგიშვილი,** მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი, პროფესორი **როლანდ დუდუჩავა.**

ერთობ საგულისყურო აღმოჩნდა დოკუმენტური ფილმი „ვიქტორ კუპრაძე“. ბატონმა ვიქტორმა თვითონ მოგვითხრო, „ავტობიოგრაფიულად“, თავისი შესანიშნავი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, გველაპარაკა უზადო ქართულით, საოცარი წიაღსვლებით, განთქმული არტისტულობითა და არაერთი ჩვენგანისათვის ცრემლების მოგვრით...

იგივე ცხოვრება და მოღვაწეობა „აკადემიურად“ (და ჩინებულად) გააშუქა დღის წესრიგის ძირითადმა მომხსენებელმა, პროფესორმა **დავით ნატროშვილმა.** ცდუნებას ვერ ვუძლებ, რომ არ მოვიყვანო ერთი ეპიზოდი მისი მონათხრობიდან: უცხოეთში მივლინებით ყოფნისას და ერთ ცნობილ მათემატიკოსთან შეხვედრისას მკვლევართა ორ ჯგუფს კამათი მოსვლია ვიქტორ კუპრაძის მათემატიკურ თემატიკასთან დაკავშირებული ერთი მომენტის გარშემო. „შემოიტანეთ ჩვენი ბიბლიაო“ — სთხოვა თურმე იმ ცნობილმა მათემატიკოსმა თანამშრომელს. წარმოვიდგინოთ ბატონი დავითის (სტუმრის!) გაოცება, როცა ნახა, რომ „ჩვენს ბიბლიას“, ისინი თურმე უწოდებენ ვ.კუპრაძისა და მისი მოწაფეების (თ.გეგელია, მ.ბაშელეიშვილი, თ.ბურჭულაძე) მონოგრაფიას (ამსტერდამში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულს) **„დრეკადობის მათემატიკური თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“...**

სხვა გამომსვლელთაგან აკადემიკოსებს **ჯუმბერ ლომინაძეს, როინ მეტრეველს, ვახტანგ კოკილაშვილს,** პროფესორ **დავით ქარქაშაძეს,** დიახაც „ყველას რაიმე ჰქონდა სახსოვარი“, მოსაგონარი თუ სათქმელი ბატონ ვიქტორზე. სხვათა შორის, ბატონმა როინმა გაახმიანა ვ.კუპრაძის ბიოგრაფიის უცნობი დეტალი — ერთი დოკუმენტის მიხედვით ის 1903-ში არა, 1904-ში ყოფილა დაბადებული; ბატონმა დავითმა წარმოადგინა საზღვარგარეთ გამოცემული უცხოელი ავტორის ახალი წიგნი, სადაც ამდენი ლაპარაკია კუპრაძისა და მისი მოწაფეების მეთოდებზე.

დარბაზი თბილად მიესალმა ქალბატონ **ნანა ვიქტორის ასულ კუპრაძეს,** რომელიც შვილთან და შვილიშვილებთან ერთად გახლდათ მობრძანებული შეკრებაზე. ბატონი ვიქტორის შვილიშვილმა, ფიზიკოსმა **გურამ კეკელიამ** ოჯახის სახელით გადაიხადა გულითადი მადლობა ასეთი დიდებული საღამოსათვის.

... მეჩვენებოდა, რომ საღამოს თითქოს დასტრიალებდა ბატონი ვიქტორის — სახელგანსმენილი მათემატიკოსისა და მექანიკოსის, გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, სასიქადულო მამულიშვილის, არაჩვეულებრივი პირადი ხიბლით დაჯილდოებული ადამიანის ნათელი სული...

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ

◎ ფეხბურთი

ფიფას რეიტინგში საქართველოს ნაკრების პოზიცია უცვლელია

ფიფა/კოკა-კოლას ეროვნულ საფეხბურთო გუნდთა სექტემბრის თვის რეიტინგში საქართველოს ნაკრების პოზიცია აგვისტოსთან შედარებით არ შეცვლილა და თემურ ქეცბაიას შეგირდები კვლავ 97-ე ადგილზე იმყოფებიან.

რეიტინგის სათავეში ისევ მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის ეროვნული ნაკრებია. მე-2 ადგილზე არგენტინელები აღზევდნენ, ხოლო გერმანიამ პოზიცია ერთი საფეხურით დათმო და მე-3-ზე ჩამოქვეითდა.

სექტემბრის თვის მონაცემებით, ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგში ეროვნულ ნაკრებთა საუკეთესო ოცეულის ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

1 (1). ესპანეთი — 1514, 2 (4). არგენტინა — 1263, 3 (2). გერმანია — 1261, (6). იტალია — 1199, 5 (3). კოლუმბია — 1180, 6 (10). ბელგია — 1159, 7 (12). ურუგვაი — 1126, 8 (9). ბრაზილია — 1067, 9 (5). ჰოლანდია — 1058, 10 (8). ხორვატეთი — 1051, 11 (7). პორტუგალია — 1029, 12 (11). საბერძნეთი — 1016, 13 (19). აშშ — 996, 14 (15). შვეიცარია — 992, 15 (16). რუსეთი — 968, 16 (21). ჩილე — 967, 17 (14). ინგლისი — 947, 18 (13). ბოსნია — 934, 19 (18). კოტ დივუარი — 902, 20 (17). ეკვადორი — 851, ...25 (23). საფრანგეთი — 812, ...56 (65). ფინეთი — 591, ...80 (87). ბელარუსი — 458, ...97 (97). საქართველო — 364.

როგორც იცით, ესპანეთი, საფრანგეთი, ბელარუსი და ფინეთი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

რაკელ პომპლანი — მექსიკის მშვენება

მექსიკელი ლამაზმანი რაკელ პომპლანი აგერ უკვე მესამე წელია, რაც „ბრძოლა წესების გარეშეს“ წამყვანია და სპორტის ამ ოდიოზურ სახეობას თავისი ეშხით განსაკუთრებულ პეწსა და სილამაზეს მატებს.

თუმცა, რაკელი მხოლოდ ამგვარი პოპულარობით არ დაკმაყოფილდა და ჟურნალ „ფლეიბოისათვის“ ისეთი თამამი და კოხტა ფოტოები გადაიღო, მისი სურათების ხილვა საჭურის აღა მახმად — ხანსაც კი გაულამაზებდა ბეჩავ და სამყაროზე გამწარებული ბოროტი კაცის ყოფას.

რაკელ პომპლანი ამჟამად 25 წლის გახლავთ და მისი მშობლიური ქალაქის ტიხუანას მკვიდრნი ასეთი ცნობილი თანაქალაქელით თურმე ძალიან ამაყობენ. ხუმრობა საქმე ხომ არაა, რაკელი „ფლეიბოიმ“ ზაფხულის ყველაზე მიმზიდველ ლათინოამერიკელ ქალად დაასახელა. ასეთ მძაფრ კონკურენციაში პირველობა უდავოდ დასაფასებელია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ახალი უნივერსიტეტი: პრობლემები და პერსპექტივა

რათა ქართული სპორტის ხერხემლად იქცეს

შემოდგომაც გვეწვია. ორიოდე დღეც და კვლავ ახმაურდება საჯარო სკოლებისა თუ უმაღლესი სასწავლებლების დერეფნები და ეზოები. ამ საყოველთაო დღესასწაულს მეშვიდედ შეხვდება მოწყენითა და მდუმარედ ყოფილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მინებჩამსხვრეული, ჩაშავებულ-ჩაჟანგებული შენობა, სადაც თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში დუღდა და გადმოდუღდა ცხოვრება. აქაურ სტუდენტებს საერთაშორისო დონის მრავალ შეჯიბრებაში უსახელებიათ თავი, ხოლო მის კურსდამთავრებულებს პლანეტის სხვადასხვა კუთხეში დღესაც შეხვდებით, ამა თუ იმ ქვეყნის ათლეტებს რომ ეხმარებიან დაოსტატებაში.

სპორტის აკადემიის გაუქმების, ახალი უნივერსიტეტის დაარსებისა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე გვესაუბრება ამავე უმაღლესი სასწავლებლის ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, ამჟამად საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი დოლაბერიძე.

— უმაღლეს სასპორტო განათლებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია და მდიდარი ტრადიციები აქვს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1935 წელს გაიხსნა სპორტის ფაკულტეტი, რომელიც სამი წლის შემდეგ დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლის სტატუსით გამოეყო მას. ასე შეიქმნა 1938 წელს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი — ბოლშევიკური ტირანიის წლებშიც კი კარგად ესმოდათ სასპორტო განათლების მნიშვნელობა. და აი, განათლებულ და განვითარებულ საქართველოში წინა მთავრობის 2007 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით ეს უმაღლესი სასწავლებელი გაუქმდა, რაც, პირდაპირ ვიტყვი, უდიდესი დანაშაულია ქართული სპორტის წინაშე. ეს სავალალო ფაქტი, სამწუხაროდ, საზოგადოებას დღემდე სათანადოდ არ შეუფასებია. არადა, ამ ექვსი წლის განმავლობაში დიდი დანაკლისი განვიცადეთ. სპორტი დღეს მსოფლიოში ელვისებური სისწრაფით ვითარდება, ჩვენ კი ბოლო წლებში საშუალება არ გვქონდა, საკუთარი კადრები მოგვემზადებინა და გადაგვემზადებინა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით მოგვემარაგებინა ქართული სპორტი. კიდევ კარგი, წინა ხელისუფლებამ აკადემიის შენობისა და სპორტული ობიექტების გაყიდვა ვერ მოასწრო.

გასული საუკუნის მიწურულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად ჩვენთან სასპორტო ცხოვრებას ისედაც შეექმნა პრობლემები, რადგან ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში ბევრი ცნობილი სპეციალისტი წავიდა სამუშაოდ უცხოეთში, დაბალი ხელფასების გამო კი ახალგაზრდებს სპორტში მუშაობის მოტივაცია აღარ ჰქონდათ. მწვრთნელთა საშუალო ასაკი 60-65 წელს აღწევდა. უარესი მდგომარეობა იყო საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებთან დაკავშირებით. 2007 წლის 11 ივლისის შემდეგ პრობლემები უფრო დამძიმდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სამსახურის გამოკვლევის შედეგებით, ფიზაღზრდის 4196 მასწავლებლიდან 60 პროცენტს შესაბამისი კვალიფიკაცია არ გააჩნია. პროფესიულ სპორტშიც მწვრთნელთა ასაკი, რაოდენობა და ხარისხიც კრიტიკულ ზღვარსაა გადაცილებული. უფრო ნათელი სურათის შესაქმნელად სპორტის სამინისტრო უახლოეს პერიოდში დაიწყებს მასშტაბურ სოციოლოგიურ გამოკვლევას სხვადასხვა მიმართულებით. უმნიშვნელოვანესი, ცხადია, კადრების საკითხი იქნება.

— საზოგადობისთვის ცნობილია, რომ წლეულს გაზაფხულზე უმაღლესი სასპორტო სასწავლებელი აღდგა. ამის მიუხედავად, იგი მდუმარედ ეგებება ახალ სასწავლო წელს.

— დიახ, 2013 წლის მარტში ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ხელი მოაწერა მთავრობის დადგენილებას სპორტის აკადემიის დიდ ტრადიციებზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის დაფუძნების თაობაზე. აღდგა ისტორიული სამართლიანობა. სწორედ ამ სასწავლებელმა უნდა შეავსოს ის საკადრო ვაკუუმი, რომელიც დღეს ქართულ სპორტში არსებობს.

საიმისოდ, რომ უნივერსიტეტმა იმუშაოს, პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა — დაინიშნა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი, სპორტის დარგში მეცნიერებათა დოქტორი გურამ ძაგანია, რომელიც წლების განმავლობაში აკადემიის პრორექტორი იყო სამეცნიერო დარგში. საორგანიზაციო ჯგუფი მუშაობს საავტორიზაციო საკითხებზე. გამოცხადდება კონკურსი, მომზადდება სილაბუსები. ერთი სიტყვით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ წინ. სამწუხაროდ, წლეულს ვერ მოხერხდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ავტორიზაციის გავლა, ამიტომ სწავლის დაწყებამ 2014 წლისთვის გადაიწია.

— ყოფილი აკადემიის შენობაში სავალალო მდგომარეობაა. მისი აღდგენა შესაძლებელია?

— გეთანხმებით, შენობა, მართლაც, კატასტროფამდეა მისული, მაგრამ სპეციალისტები ამბობენ, რომ მისი გამაგრება შეიძლება, თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა ამის საშუალებას. თუმცა, საექსპერტო დასკვნამდე სამუშაოების დაწყება გაუმართლებელია. ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ ბიუჯეტიდან სოლიდური თანხა გამოიყოფა. არის სხვა მოსაზრებაც — თბილისში ახალი სასპორტო ქალაქი აშენდეს. ეს არ ეხება მხოლოდ უნივერსიტეტს ან 2015 წელს ჩვენთან გასამართავ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს. ეს იქნება კომპლექსურად ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ქალაქის პერსპექტივა თბილისის ზღვის ტერიტორიაზე. საქართველოს მთავრობაშიც ფიქრობენ, რომ ახალ უნივერსიტეტს სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა ჰქონდეს. ამდენად, ოლიმპიური ფესტივალის დამთავრების შემდეგ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე სასპორტო ობიექტებსაც ფუნქცია არ შეუწყდებათ. ეს საკითხი ახლა განიხილება და დადებითად თუ გადაწყდა, საშვილიშვილო საქმე გაკეთდება.

— მის მშენებლობას თუ დაველოდებით, უნივერსიტეტში სწავლის დაწყება კიდევ გადაივადებს.

— ჩვენ ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ, ამიტომ გადავადება არ ივარგებს — 2014 წელს აუცილებლად უნდა მივიღოთ პირველი ნაკადი. ეს საზოგადოების მოთხოვნა და სასპორტო ორგანიზაციების დაკვეთაა. პირველი ჯგუფის მისაღებად საგაისოდ ჩვენ მზად ვიქნებით.

— პროფესორ-მასწავლებელთა კადრების პრობლემა? ჩვენთან ხომ ამ მიმართულებით ექვსი წელიწადია, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა.

— ცხადია, ეს მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ არა მგონია, აქ სირთულეები შეგვექმნას. პირველ კურსზე ზოგად საგნებში ლექციების წასაკითხავად კონკურსით შეირჩევა უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალები. საბედნიეროდ, საქართველოში ამ სპეციალისტებით განებივრებულიც კი ვართ. რაც შეეხება დარგის მიმართულებას, ანუ სპეციალიზაციას, აქაც გვყავს კადრები, რომლებიც შესანიშნავად გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. მაგალითად, მძლეოსნობაში მაია აზარაშვილი, რომელიც, გარდა იმისა, რომ ოლიმპიური თამაშების პრიზიორია, წლების განმავლობაში მუშაობდა გერმანიაში და მდიდარი გამოცდილებაც დააგროვა. ძალოსნობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი გვყავს, ძიუდოში — ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი... ასე რომ, ახალ უნივერსიტეტს კადრების მხრივ პრობლემები არ შეექმნება.

— ბოლო ათწლეულში მსოფლიო სპორტი ძალიან სწრაფად წავიდა წინ, რაც სამეცნიერო მიღწევებს ეფუძნება. კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად მდიდარი ბიბლიოთეკაცაა საჭირო.

— უნივერსიტეტის ავტორიზაციის გასავლელად მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად წიგნადი ფონდის არსებობაცაა აუცილებელი. მართალია, ჩვენთან წიგნების უმრავლესობა მოძველდა, მაგრამ მათი ახალი ლიტერატურით შევსება შესაძლებელია. სპორტის უნივერსიტეტი თავად იზრუნებს ახალი წიგნების ეტაპობრივად სათარგმნელად. კონკურსით არჩეულ სპეციალისტებსაც ექნებათ სათანადო ლიტერატურა. კონტაქტებს განვაახლებთ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან. თქვენც გემახსოვრებათ, როგორი ახლო ურთიერთობები დაამყარა აკადემიამ უცხოელებთან, განსაკუთრებით — გერმანელებთან; ლაიფციგისა და კიოლნის სპორტის უნივერსიტეტებთან ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული. სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს ვაგზავნიდით ამ უმაღლეს სასწავლებლებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ პროგრამებში მეც მიმიღია მონაწილეობა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო გვაფინანსებდა. 2007 წლის შემდეგ ეს პროგრამებიც შეჩერდა, ამიტომ მათი განახლება იქნება საჭირო. ამას წინათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან მივიღე ინფორმაცია სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით გრანტების განაწილების შესახებ. ასე რომ, ვარდისფერი სათვალეებიდან დანახული კი არა, რეალობაა, რომ ჩვენ გვექნება კონკურენტუნარიანი უმაღლესი სასპორტო სასწავლებელი როგორც რეგიონში, ისე მთელ ევროპაში.

ერთიც მინდა დავძინო: სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულებს, ვეტერან და მოქმედ სპორტსმენებს, ბიზნესმენებს, უცხოეთში მოღვაწე ქართველებს, ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს მივმართავთ თხოვნით, რათა დაგვიდგნენ გვერდით და მსოფლიოში აპრობირებული სპორტის უნივერსიტეტის აღორძინებისა და განვითარების ფონდი დავაფუძნოთ, რაც საშუალებას მოგვცემს, სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა, სხვა მიმართულებითაც მოვიზიდოთ სახსრები და ყველაფერი გავაკეთოთ საიმისოდ, რომ სპორტის უნივერსიტეტი ქართული სპორტის ხერხემლად ვაქციოთ.

ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, რომელიც უმაღლესი სასპორტო სასწავლებლის აღდგენისთვის ექვსწლიან „ბრძოლაში“ თავისი პუბლიკაციებით ყოველთვის მხარს გვიჭერდა და დღესაც ჩვენ გვერდით დგას.

ესაუბრა
ვაჟა დანელია

სურათზე: ირაკლი დოლაბერიძე
ავტორის ფოტო.

◎ ინფორმაცია

განა პუტინი ობამაზე ნაკლებია?

რუსეთის განათლების ფონდმა პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ნობელის პრემიაზე მშვიდობისთვის ბრძოლისა და განათლების განვითარების ძალისხმევის გამო წარადგინა.

რუსეთის განათლების ფონდის ექსპერტის ოლეგ სერგეევის განცხადებით, ვლადიმერ პუტინის დამსახურებაა, ის რომ ჩეჩნეთში ომი შეწყდა.

სერგეევმა ისიც აღნიშნა, რომ ვლადიმერ პუტინი მომხრეა სირიაში კონფლიქტი არა საომარი მეთოდებით, არამედ პოლიტიკური გზით მოგვარდეს.

ინფორმაციის თანახმად, ცოტა ხნის წინ ამავე ინიციატივით, საფრანგეთშიც გამოვიდნენ.

ფრანგების ის ნაწილი, რომელიც პუტინისთვის ნობელის პრემიის მინიჭებას იზიარებს, დარწმუნებულები არიან, რომ თუ ამერიკული აგრესიისა და დარტყმებისგან სირია გადარჩება, ეს პუტინის დამსახურება იქნება, რომელსაც უფრო მეტი ექნება მსოფლიოში მშვიდობისთვის გაკეთებული, ვიდრე ნობელის ლაურეატ ბარაკ ობამას.

მადა ჭამაში მოდისო, ახლა საზღვრების დაკანონებას ცდილობენ

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა, მომზადდეს ოფიციალური ხელშეკრულება „სამხრეთ ოსეთთან სახელმწიფო საზღვრის შესახებ“. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.

— დაევალოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გამართოს მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთის მხარესთან და მოლაპარაკებების შედეგად რუსეთის ფედერაციის სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, — ნათქვამია დოკუმენტში.

არსებული ინფორმაციით, შეთანხმებით განისაზღვრება სახელმწიფო საზღვრის ზოლი რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის.

როგორც რუსეთის მთავრობის პრესსამსახურში აღნიშნეს, ზემოხსენებული ხელშეკრულების გაფორმება „ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის საერთაშორისო-სამართლებრივ გაფორმებას და სასაზღვრო რეჟიმის გაძლიერების განხორციელებას“.

პროფკავშირის მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილა

რკინიგზის ხელმძღვანელობამ ახალი პროფკავშირის მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილა. როგორც საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფკავშირიდან იტყობინებიან „შრომის კოდექსში“ შესული ცვლილებები რკინიგზელებს ჯერ არ შეხებიათ. აღნიშნული ფაქტის გამო რკინიგზელთა ახალმა პროფკავშირმა რკინიგზის გენერალურ დირექტორს მამუკა ბახტაძეს ოფიციალური წერილით მიმართა, რომლითაც მძიმე, მავნე და საშიშ პირობებში დასაქმებულ რკინიგზელთა დამატებითი 10-დღიანი შვებულებით უზრუნველყოფა და ზეგანაკვთური სამუშაოს ანაზღაურება, ასევე გასული სამი თვის განმავლობაში განაცდურზე განაკვეთური ანაზღაურების გადახდა კომპენსაციის სახით მოითხოვა.

დარგობრივი პროფკავშირის განმარტებით, აღნიშნულ საკითხებზე რკინიგზის გენერალური დირექტორი სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. ჯგუფის პირველი შეხვედრა 12 სექტემბერს შედგა.

გადაწყდა, რომ მძიმე, მავნე და საშიშ პირობებში მომუშავე რკინიგზელები დამატებით 10-დღიან შვებულებას წლის ბოლომდე მიიღებენ, რასთან დაკავშირებითაც რკინიგზის ადმინისტრაცია უახლოეს დღეებში სპეციალურ დადგენილებას გამოსცემს. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავენ წლის ბოლოს, დაანგარიშების შედეგად ანაზღაურდეს რკინიგზელთა ზეგანაკვეთური შრომა და რომ ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გააგრძელებენ მოლაპარაკებებს.

ინტერპრესი

სულთათანა

„გერმანეს წასვლაა ძნელი“...

შარშან, ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებზე ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და პოეტი, პედაგოგი, საქართველოს კოლორიტი პიროვნება **გერმანე ფაცაცია** შეეცადა, ამოეხსნა წინასწარმეტყველების ფენომენი.

„ყოველთვის, — წერდა იგი, ჩემს გაოცებას (გაოგნებასაც!) იწვევდა წინასწარმეტყველთა პოზიცია კაცობრიობის დასაბამიდან (თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა!) დღემდე იმავ კაცობრიობისთვის თავზარდამცემი სიკვდილის ფენომენის (თუკი ასეთიც საერთოდ არსებობს!) მიმართ. სიკვდილი, როგორც ასეთი, იმდენად „ესულერთებათ“, რომ მსგავსი პოზიცია შეუძლებელია გამოწვეული არ იყოს სამყაროს (ამმიწიერი და მილმური, ცხადია, ჩვენთვის!) ორერთოვნების ჩვენთვის გაუგებარი წვდომით. უფრო საჩინო რომ გავხადო, თუ რას ვგულისხმობ, გეტყვით: ჩვენ, ჩვეულებრივნი, ყოველთვის ვართ „აქ“ და როცა ვართ „აქ“, არა ვართ „იქ“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ყოველთვის ერთ მდგომარეობაში ვართ, ხოლო წინასწარმეტყველნი ყოველთვის ორ მდგომარეობაში არიან — ანუ ისინი არიან „აქაც“ და „იქაც“ და არასდროს მხოლოდ „აქ“ ან „იქ“. ამიტომ, მათთვის დრო, როგორც ასეთი, არ არსებობს“.

ხომ არაფერი გენიშნათ? თქვენი არ ვიცი, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ გერმანე ამ სტრიქონებით თავისი „მე“-ს არსში წვდომას უფრო ცდილობდა, არკვევდა, თუ სად იყო იგი, გერმანე ფაცაცია, „აქ“ თუ „იქ“. ნამდვილად არ ვიცით, გერმანემ რა გაარკვია, გეტყვით იმას, რაც ისედაც ხილული იყო გერმანე ფაცაციას უკვე განვლილი ცხოვრებიდან — ის ჭეშმარიტად აქაც იყო და იქაც, ის იყო ყველგან და ყველასთან, სადაც ეიმედებოდათ და სადაც მუდამ ელოდნენ.

სხვას უწოდებდა ფენომენს და თავად იყო ფენომენი — ფენომენი და ნიმუში სიყვარულისა, სიკეთისა, კაცთმოყვარეობისა, ერთგულებისა, რაინდობისა.

ყოველთვის ჩქარობდა. მას ყველგან ელოდნენ. ის ყველას თანამდგომი იყო. ყველას ანუგეშებდა, ეხმარებოდა, რითაც შეეძლო. თურმე რამხელა ტკივილს მალავდა, არავის უმხელდა, არავის სთხოვდა დახმარებას. როცა ერთად ვიკრიბებოდით, უმალ ექცეოდა ყურადღების ცენტრში არა მარტო თავისი გარეგნობით და ხიბლით, არამედ იმითაც, რომ ყველას წვრილად გამოჰკითხავდა ამბავს, რა უჭირდა, რა ულხინდა... პატარებსაც გაეთამაშებოდა, გაეხუმრებოდა. წასვლის დრო რომ მოვიდოდა, იტყოდა ხოლმე — გერმანეს წასვლაა ძნელი, გერმანე სამშობლოს უკვდებაო...

სწორედ ეს სიტყვები გაგვახსენდა საავადმყოფოში, სადაც გერმანეს სანახავად მივედით, გერმანე უკვე რამდენიმე კვირა სასუნთქ აპარატზე იყო მიერთებული. მისმა დამ, დიდებულმა ქალბატონმა ლეილამ ბრძანა: რა დააშავა ამისთანა ჩემმა ძმამ, რომ მისი სული ვეღარ გავიდა ამ ქვეყნიდან და ასე დაიტანჯა ადამიანიო...

გაგვახსენდა — გერმანეს წასვლაა ძნელი...

10 სექტემბერს მაინც წავიდა, მოუკვდა გერმანე სამშობლოს, რომელსაც ემსახურა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით. წავიდა და თან გაიყოლა დაქუცმაცებულ-დანაწევრებულ სამშობლოზე ფიქრი და დარდი, ტკივილი დაკარგული მშობლიური აფხაზეთისა და სამაჩაბლოსი, იქ უყურადღებოდ დარჩენილი წინაპართა ძვალთშესალაგებისა... მშობლები ვერის სასაფლაოზე განისვენებენ, სადაც თვითონაც მიეგებრება მიწას და უფალს. აქ არ დამტოვო, აფხაზეთში გადამასვენეო — მამას, დიდ გერმანეს დაუბარებია. მეღირსება კი მშობლისათვის ამ უკანასკნელი სურვილის ასრულებაო — თავისთვის, რიტორიკულად იკითხავდა ხოლმე. არა, ვერ შეუსრულა მშობლებს დანაბარები. ესეც დიდ ტკივილად გაიყოლა მარადიულ სასუფეველში.

ზოგჯერ ყველაზე ლამაზი ღიმილი ყველაზე ღრმა საიდუმლოს მალავს... ყველაზე ლამაზი თვალებიდან მეტი ცრემლია წამოსული... და ყველაზე კეთილი გული მეტ ტკივილს ატარებს... ეს სიტყვები ერთმა „ფეისბუქელმა“ მეგობარმა უძღვნა გერმანეს. და მართლაც ასე ყოფილა. თურმე რა რაინდულად იტანდა გაუსაძლის ტკივილს, რათა სხვას არ სტკენოდა. ტკივილიან ლექსებს წერდა, მის ყოველ სტრიქონში ცრემლი გამოსჭვიოდა, მაგრამ ამ ტკივილითაც კი სიკეთეს თესავდა და საკუთარ გულს ივსებდა თურმე ტკივილით.

გერმანეს წასვლაა ძნელი... ჩვენთვისაც ძნელია შენი წასვლა, ერთგულო მეგობარო, დარჩენაც ძნელია უშენოდ... მაგრამ... ისევ შენი სიკეთე გვასხივოსნებს და გვაიმედებს.

ამ ქვეყნიდან წასვლაც იჩქარა. მხოლოდ 62 წელი გაიმეტა ჩვენთვის აქ. იქ, უკვე მარადისობაში, შვილი — პატარა დავითი და მშობლები ელოდებიან...

ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი იყო. წიგნი კი ვერ გამოვაცემინეთ. ჯერ დრო არ არის, ცოტა მაცალეთო. ახლა სხვების დროაო. სხვათა ლექსებსა და ესეებს აშალაშინებდა და გამომცემლობისაკენ ულოცავდა გზას. ძარღვიანი ქართულით წერდა, ყოველ სიტყვას ეფერებოდა. არც იმას ერიდებოდა, რომ აზრი სხვისთვისაც ეკითხა. გერმანე სასურველი სტუმარი იყო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ტელევიზიებში.

გერმანეს წასვლაა ძნელი... და მაინც წავიდა, წავიდა, რათა დარჩეს და ჭეშმარიტად იყოს აქაც და იქაც. უფლისკენ სავალი გზანათელი გქონოდეს, გერმანე! ხალხურ პოეზიას დავესესხებით: აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა!

მარინა კანდელაკი, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, თენგიზ კალანდაძე, ამირან გუთურიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ძობულია, რომან ტალახაძე, მამუკა კარტოზია, ირაკლი კალანდია, ვილენ მარდალეიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, ოთარ ტურაბელიძე, მამა როსტომი (ლორთქიფანიძე).

◎ ალიან-ჩალიანი

ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ავტორები უმკაცრესად დაისჯებიან

როგორც ჟურნალისტებს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა , მისი უწყება ამ მიმართულებით გამკაცრებული საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს უახლოეს მომავალში მიმართავს.

ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ ცრუ შეტყობინებით სარგებლობა მომავალში ვეღარავინ უნდა შეძლოს.

შს საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, სამინისტრო ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გამკაცრების მიმართულებით, დაჩქარებულ რეჟიმში იმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ ხუთშაბათს არასრულწლოვანთა ცრუ შეტყობინებების გამო მუშაობა შეფერხდა თბილისის აეროპორტში, ტელეკომპანია „იმედსა“ და „რუსთავი-2“-ში.

მესტიის გამგებლის მოადგილე დააკავეს

სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ხერგიანი დააკავეს.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, დაკავებულმა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მესტიის რაიონში, სახელმწიფო დაფინანსებით 23 მილიონი ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას, არსებული ხარვეზების მიუხედავად, დოკუმენტებში სამუშაოს შესრულებულად დაფიქსირების სანაცვლოდ, ერთ-ერთი მეწარმისგან, ქრთამის სახით, 300 000 ლარი აიღო.

ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 15 წლამდე ვადით.

აღმოაჩინეს უკანონო სახერხი საამქრო

როგორც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან იტყობინებიან, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ-ცენტრალური სამსახურის სწრაფი რეაგირების განყოფილების მიერ რაჭა-ლეჩხუმი — ქვემო სვანეთის რეგიონში, ცაგერსა და ლენტეხის მუნიციპალიტეტში ჩატარებული შემოწმების დროს უკანონოდ მოქმედი სახერხი საამქრო გამოავლინა.

საამქროს ტერიტორიაზე უკანონოდ მოპოვებული 95 ერთეული წიწოვანი და ფოთლოვანი ჯიშის სამასალე ხე-ტყის გადამუშავების ფაქტიც გამოვლინდა.

მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს.

სამინისტროს განმარტებით, ბილო ოთხი თვის განმავლობაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ხე-ტყის უკანონო მოპოვების 200-ზე მეტი ფაქტი გამოავლინა.

ზუგდიდში გარემოვაჭრეებმა საპროტესტო აქცია გამართეს

ისინი ხელისუფლებისგან სასკოლო გარევაჭრობის ნებართვას ითხოვენ. **ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გარევაჭრობა კანონდარღვევაა.** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურის უფროსის მაია ღურწკაიას განმარტებით, გარემოვაჭრეებისთვის სპეციალური ტერიტორია გამოიყოფა, სადაც მათ ვაჭრობის უფლება მიეცემათ.

ინტერპრესი

◎ ლიტერატურისა და ისტორიის წიაღ

ქილერის ხელით?..

სადღეისოდ ისტორიკოსთა და მკვლევართა უმეტესობა ფიქრობს, რომ დიდი რუსი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი დუელიანტი მეტოქის მიერ კი არა, „შეკვეთით“ იყო მოკლული.

მან სიცოცხლეშივე მოიხვეჭა დიდება. 1841 წელს, ტრაგიკული აღსასრულისთანავე, მწერლის ნაწარმოებების შესწავლა დაიწყო გიმნაზიებში. იმისი თაყვანისმცემელი გახლდათ იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, ნიკოლოზ I-ის მეულლე. უფროს ქალიშვილს რომ ათხოვებდა, **საქორწინო საჩუქრად სამკაული კი არა, პოეტის ლექსების პატარა ტომი მიართვა...**

„დუელზე ოფიციალურ ვერსიას უპირისპირდება შტაბ-მკურნალის ივანე ბარკლაი-დე-ტოლის სასამართლო-სამედიცინო დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ ლერმონტოვის გამგმირავმა ტყვიამ შემავალი ნახვრეტი დატოვა მე-12 (უკანასკნელი) ნეკნის ქვემოთ, გამომავალი კი — მე-5 და მე-6 ნეკნებს შუა. ტყვია მოდიოდა ქვემოდან ზემოთ 45-გრადუსიანი კუთხით! **ვიღაცამ პოეტს ესროლა სამალავიდან, მიწაზე მწოლარემ.** მეორე შეუპირაპირებლობა: ტყვია გამჭოლ გამოფრინდა, რაც მაშინდელი პისტოლეტებისათვის სრულიად წარმოუდგენელია. სამაგიეროდ ასეთი ძალა ჰქონდა იმ დროის სასროლ შაშხანას. **დასკვნა: ლერმონტოვი მოკლა დუელის ადგილის გვერდით ბუჩქნარში ჩაწოლილმა ქილერმა“ — ამბობს გიორგი აბსავა, პოეტზე წიგნის ავტორი** (ნაშრომი რუსულ ენაზეა დაწერილი; როგორც გვარით ჩანს, ბატონი გიორგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთში მოღვაწე ქართველია — **თ. ე.**).

ვერსია სნაიპერის შესახებ ჯერ კიდევ 1930-იან წლებში წამოაყენა პიატიგორსკში ლერმონტოვის სახლ-მუზეუმის დირექტორმა სტეფანე კოროტკოვმა. მოგვიანებით იმავეს წერდა კონსტანტინე პაუსტოვსკი ლერმონტოვზე მოთხრობაში „მდინარეთა წყალდიდობა“: „მარტინოვის გასროლასთან ერთად მეორე გასროლაც მოეჩვენა იმ ხრამის ქვემოთ ბუჩქებიდან, რომლის თავზეც იდგა“. მკვლელობაში იყო დარწმუნებული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე იური ტინიანოვიც, რომელიც წერდა: „გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი როდი დაღუპულან. ისინი უბრალოდ ჩამოიშორეს“.

კვლავ აბსავას მოვუსინოთ: „რუხმა კარდინალებმა, რომლებმაც პოეტის მევლელობას გაუკეთს ორგანიზება, ჯერ ლერმონტოვთან დუელზე წაქეზება სცადეს პრაპორშჩიკ ლისანევიჩისა, მაგრამ მან იუარა — ასეთ კაცზე აღვმართო ხელიო?.. მაშინ გადამდგარ მაიორ მარტინოვთან გაითამაშეს კარტი — ის ალბათ არ იყო გარეული დაქირავებულ მკვლელთან გეგმაში და საშინელი ცოდვის ამღები გახდა, რომ საერთო თავის მოჭრა დაეფარა: სათავადაზნაურო საზოგადოება არ განკიცხავდა „პატიოსან“ ორთაბრძოლაში მკვლელობას. მრავალრიცხოვანი ფაქტი უჩვენებს, რომ მისი ორგანიზატორი იყო მარტინოვის სეკუნდანტი — თავად ვასილჩიკოვი. საიდუმლო პოლიციამ პოსტფაქტუმ ყელაფერი გაარკვია და უეჭველად მეფეს მოახსენა. აი რატომ გამოუტანა ნიკოლოზ I-მა ასე რბილი განაჩენი მარტინოვს: ჰაუპტვახტის სამი თვე და საეკლესიო მონანიება. ჭეშმარიტებას საიდუმლოდ ინახავდნენ, რომ არ გაეხმაურებინათ რუსეთის შემარცხვენელი „დუელის“ გარემოებანი. გარდა ამისა, თავადი ვასილჩიკოვი გახლდათ მინისტრთა კომიტეტისა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, თავად ილარიონ ვასილჩიკოვის ვაჟი, იმ ადამიანისა, ვისაც სავსებით ენდობოდა ნიკოლოზ I“ — დასძენს აბსავა.

რამდენიმე მკვლევარი, პუშკინისა და ლერმონტოვის ორმაგ მკვლელობაზე ლაპარაკისას, ამაში ნიკოლოზ I-ს ადანაშაულებს, თუმცა, მიუხედავად შეფისა და პუშკინს შორის რთული ურთიერთობებისა, ისინი თანამოაზრენი იყვნენ. იმპერატორმა პოეტი „პერსონალური ხელფასით“ აიყვანა სამსახურში, სახსრებიც გამოუყო „პუგაჩოვის ამბოხების ისტორიის“ გამოსაცემად. პუშკინის სიკვდილის შემდეგ ყველა მისი ვალი გადაიხადა, ქვრივი და შვილები უზრუნველყო, სახელმწიფოს ხარჯზე გამოსცა თხზულებათა კრებული.

„ადამიანებს, რომლებმაც ჰეკერნ-დანტესის წყვილის ხელებით მოიცილეს პუშკინი, ეშინოდათ ხელმწიფეზე იმისი მზარდი გავლენისა, — დარწმუნებულია აბსავა. — პოეტი ქადაგებდა ეროვნულ და მართლმადიდებლურ სულიერ ფასეულობებს და მხოლოდ მის პოეტურ გენიას შეეძლო XIX საუკუნის საბედისწერო 40-იან წლებში რუსი საზოგადოების განხეთქილების თავიდან აცილება. ეს იწვევდა პუშკინისადმი სიძულვილის დასავლელთა სამეფო კარის მძლავრი ლობის მხრიდან. პოლიტიკური დავის პირობებში, რაც რუსეთს განხეთქილებით ემუქრებოდა, პოეტის ადგილი დაიკავა მეორე გენიოსმა — ლერმონტოვმა. კავკასიაში ის სათავეში ედგა მამაცთა „მფრინავ რაზმს“, რომელსაც თანამედროვე სპეცდანის წინამორბედს უწოდებენ. ოღონდ პოეტი სამხედრო კარიერაზე როდი ოცნებობდა: არმიიდან უნდოდა განთავისუფლება, რომ თავის ჭეშმარიტ მოწოდებას გაჰყოლოდა. ნიკოლოზ I-მა ლერმონტოვის დაღუპვა რომ შეიტყო, თქვა — მოკვდა კაცი, რომელსაც ჩვენთვის პუშკინის შეცვლა ძალედვა“...

მოამზადა
თამაზ ებანოიძემ

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვარსკვლავებთან

კობა დავითაშვილი მიწების გაყიდვის აკრძალვას მოითხოვს

დამოუკიდებელი დეპუტატი, „ხალხის პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატი კობა დავითაშვილი ქართული მიწების სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების ამკრძალავი კანონპროექტის ინიციატივით გამოდის. დავითაშვილის თქმით, აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურად გამყარებისთვის 200 000-მდე მოქალაქის ხელმოწერაა საჭირო, შემდეგ კანონპროექტის ინიცირება მოხდება და პროცესის ბოლო ეტაპი მიწების უცხოელებზე გასხვისების კონსტიტუციურად აკრძალვა იქნება.

„კერძო საკუთრება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს... სჯობს, ჩვენი მიწა-წყალი საქართველოს მოქალაქეების ხელში იყოს, ვიდრე უცხოელების, ამისთვის საჭიროა 4 თვის განმავლობაში 200 000 ხელმოწერა შევაგროვოთ“, — ამბობს კობა დავითაშვილი.

„ალია“

„სუფრებში ძალიან დიდი თანხები იხარჯება“

— მიაჩნია პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, — ამ თანხების ოდენობა დღევანდელობასთან შესატყვისი არ არის. ძალიან ბევრ პრეზენტაციას დავესწარი სხვადასხვა სამინისტროში და ვნახე, რომ სუფრებზე იხარჯება ძალიან დიდი თანხა. ამაზე ხმამაღლა უკმაყოფილება აქამდე არ გამომითქვამს. ყველა სამინისტრომ, მიუხედავად იმისა, თუ რა დღესასწაულია, არ არის სწორი, რომ ამხელა თანხები დახარჯოს. ეს ეხება სამინისტროებსაც და აჭარის მთავრობასაც. დღესასწაული არ შეიძლება გადაიქცეს ღრეობად.

„რეზონანსი“

საკეისრო კვეთა აიკრძალება?

საკეისრო კვეთა საქართველოში ერთობ პოპულარულ სამედიცინო ჩარევად რჩება. საკეისროების ბუმი მაშინ დაიწყო, რაც სახელმწიფომ მშობიარობის დაფინანსებაზე უარი თქვა. ჰოდა რახან პაციენტი საკუთარი ჯიბიდან იხდიდა, „მუსიკასაც“ თვითონ უკვეთავდა, ანუ შეეძლო ფიზიოლოგიურ მშობიარობაზე უარი ეთქვა და მოეთხოვა საკეისრო კვეთა გაეკეთებინათ მედიკოსებს. ამ შემთხვევაში სამშობიარო ტკივილებს იცილებდნენ ქალები თავიდან. უახლოეს მომავალში პაციენტისგან საკეისრო კვეთის „შეკვეთა“ შეიძლება საერთოდ აიკრძალოს. საკეისრო კვეთის დროს მშობიარის სიკვდილის შემთხვევები საქართველოში ძალიან მაღალია. საკეისრო კვეთას დედების 35 პროცენტი ირჩევს.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ტელეფონი რეკავს:

— თუ შეიძლება გვითხარით, კაცი, რომელიც დილის ექვს საათზე საყვირს ჩაბერავს და მანამ აყვირებს, სანამ ყველას არ გააღვიძებს, ნორმალურია?

— რა თქმა უნდა, არა.

— მაშინ მოდით და წაიყვანეთ ეს გიჟი.

— თქვენი მისამართი?

— კომკავშირელის 24, სამხედრო ნაწილი 24/713.

* * *

კათოლიკე მღვდელი და რაბინი მატარებლით მგზავრობენ.

— რებე, გამოტყდით, ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ გიჭამიათ ღორის ხორცი? — ირონიულად ჩაეძიება მღვდელი.

— რაღა დაგიმალოთ, პადრე, მიჭამია. თქვენ კი ერთხელ მაინც თუ გძლიათ ცთუნებამ და ქალი თუ ჩაგიწვენიათ საწოლში?

— კი მქონდა ასეთი შეცოდება, — ამოიკვნესებს პადრე.

— მართლა სჯობს ღორის ხორცს? — პირს აწკლაპუნებს რაბინი.

* * *

— პეტკა, შენი პირველი გახსოვს?

— აბა როგორ! მაგისთვის ხომ 15 წელიწადი ვიჯექი.

* * *

მიხო თავის 15 წლის ვაჟს მოძღვრავს:

— ჯერ სულ 15 წლისა ხარ და უკვე ეწევი. მე შენს ასაკში... — ჩაფიქრდა — თუმცა მოწიე, მოწიე...

* * *

ორი დედა თავის პატარა გოგონებს ასეირნებს. ერთი დედა მეორეს ეუბნება:

— უთხარი შენს გოგოს, რომ თავი დაანებოს ჩემს გამოჯავრებას.

— მაშა, ნუ იქცევი საფრთხობელასავით!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24